ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა და ვალის პატიება, მიუხედავად თანამდევნი სამართლებრივი შედეგის მსგავსებისა, სამართლის სრულიად სხვადასხვა ინსტიტუტებია. ხანდაზმულობის ვადაში უფლების იძულებით დაცვის მოთხოვნის განუხორციელებლობა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც კრედიტორის მიერ მოვალისთვის ვალის პატიება, ვინაიდან ვალის პატიებას მხარეთა ნების გამოვლენა სჭირდება, ხოლო ხანდაზმულობა მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად არსებული ხდომილება და

⁶ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 288.

⁷ ძლიერიშვილი ზ., ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, თბილისი, 1997, გვ. 9.

⁸ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 289-295.

⁹ კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, გვ. 769.

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი ფაქტია.

ამრიგად, იურიდიული პირის მიერ მოვალე კომპანიის მიმართ ხანდაზმულ სახელშეკრულებო მოთხოვნათა სასამართლოში სარჩელის წა-

რუდგენლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს დადებული გარიგების შინაარსის შეცვლისა და საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

უსაფუძვლო გამდიდრება კოლიზიურ სამართალში

გოჩა ოყრეშიძე

ადვოკატი, ილინოისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

წინამდებარე ანალიზი არის კოლიზიური სამართლის სტატიათა სერიის გაგრძელება, რომელთა მიზანია ქართულენოვანი სტუდენტებისათვის თანამედროვე კოლიზიური სამართლის ზოგადი ტენდენციების გაცნობა. წინამდებარე სტატია ეხება კოლიზიურ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს.

ქართველმა კანონმდებელმა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი („სკს“) შექმნა „ევროპულ საერთაშორისო კერძო სამართლის კანონებთან სამართლებრივი შედარების საფუძველზე.“¹ ამაში იგულისხმება შვეიცარიული, გერმანული და იტალიური სამართალი, ისევე როგორც კოლიზიური სამართლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო კონვენციები.²

გარკვეულ მუხლებთან მიმართებით ცნობილია, თუ კონკრეტულად რომელ სამართალს დაეყრდნო კანონმდებელი. მაგალითად, 1980 წლის რომის კონვენციის³ ნორმები „თითქმის

უცვლელად არის გადატანილი პროექტის 27-31 და 35-38-ე მუხლებში.“⁴ ასევე, ვიცით, რომ საპროცესო ნაწილში სკს „ეყრდნობა შვეიცარიულ და იტალიურ მოდელს.“⁵ უშუალოდ უსაფუძვლო გამდიდრების ნაწილში ამგვარ მითითებას საკანონმდებლო მასალები არ შეიცავს. მართალია, მუხლი შინაარსობრივად ემსგავსება დღეს მოქმედ გერმანულ ანალოგს, თუმცა ამგვარი რეგულირება გერმანულ სამართალში არ არსებობდა ქართული კანონის მიღების დროს. ამავდროულად, სკს-ის 41-ე მუხლის ანალიზისათვის, ასევე, საინტერესოა ევროპულ და ამერიკულ სამართალთან შედარებაც.

I. გერმანული სამართალი

EGBGB 38. უსაფუძვლო გამდიდრება

უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა შესრულებისგან, რეგულირდება იმ სამართლით, რომელიც არე-

¹ სკს-ის განმარტებითი ბარათი, გვ. 431.

² Id. 431.

³ 1980 წლის რომის კონვენცია „სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე.“

[[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:41998A0126\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:41998A0126(02))].

⁴ სკს-ის განმარტებითი ბარათი, გვ. 431. ნორმების დასათურება შემდეგნაირია: სკს-ის 27-31-ე [გარიგებანი], სკს-ის 35-ე [სამართლის არჩევა მხარეების მიერ], სკს-ის 36-ე [სამართლის გამოყენება, როცა მხარეებს არ აურჩევიათ ესა თუ ის სამართალი], სკს-ის 37-ე [მოთხოვნის გადასვლა სხვა პირზე], სკს-ის 38-ე [სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმები].

⁵ სკს-ის განმარტებითი ბარათი, გვ. 431.

გულირებს საფუძვლად არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელთანაც დაკავშირებულია შესრულება.

უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა დაცული სიკეთის ხელყოფისგან რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ხელყოფა მოხდა.

(3) სხვა შემთხვევებში უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც გამდიდრება მოხდა.

გერმანული კანონის განხილვამდე უნდა აღინიშნოს ის, რომ 1998 წლისათვის, როცა სკს იქნა მიღებული, გერმანული კოლიზიური სამართალი უსაფუძვლო გამდიდრებას, ძირითადად, სასამართლო პრაქტიკაში არეგულირებდა. EGBGB – გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი ნაწილი, რომელიც კოლიზიური სამართლის საკითხებს არეგულირებს – უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმებს არ შეიცავდა.⁶ ამდენად, ცხადია, ქართველი კანონმდებელი გერმანული კანონით, პირდაპირ, ვერ იხელმძღვანელებდა. თუმცა დღეის მდგომარეობით, გერმანული EGBGB 38-ე და სკს-ის 41-ე მუხლები სტრუქტურულად და შინაარსობრივად ერთმანეთს ძალიან ჰგავს, რაც, სავარაუდოდ, არ უნდა იყოს მხოლოდ შემთხვევითი. ცნობილია, რომ ქართველ იურისტებს სამოქალაქო კოდექსისა და კერძო სამართლის სხვა კანონების დაწერისას გერმანელი ექსპერტები ეხმარებოდნენ. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველმა კანონმდებელმა, ზოგადად, გაიზიარა გერმანული სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის მიდგომები.

I.1. მსგავსება სკს-ის 41-ე და EGBGB 38-ე მუხლებს შორის

ქართული კანონი გერმანულს ემსგავსება როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად. სტრუქტურულად, როგორც გერმანული, ისე ქართული კანონი სამი ნაწილისაგან შედგება. ამავდროულად, სამივე ნაწილი, ძირითადად, შინაარსობრივად იდენტურია, მათ შორის დამაკავშირებელი ფაქტორებიც არსებობს.

I.1.1. სამნაწილიანი აგებულება

პირველი აშკარა მსგავსება გერმანულ და ქართულ ნორმებს შორის შეეხება მათ ზოგად სტრუქტურას. ორივე ნორმა მსგავსი აგებულები-საა და შედგება სამი ნაწილისაგან. ამისგან განსხვავებით, რომის II რეგულაციის მე-10 და ამერიკული კოლიზიური სამართლის მე-2 კოდიფიკაციის 221-ე მუხლები აბსოლუტურად განსხვავებული აგებულებისაა და ეს შინაარსშიც ვლინდება. შესაბამისად, აშკარაა, რომ ქართველმა კანონმდებელმა, ნორმის ზოგადი სტრუქტურის თვალსაზრისით, გერმანული მოდელი გაიზიარა.

I.1.2. ნაწილების მსგავსი შინაარსი და დამაკავშირებელი ფაქტორები

სტრუქტურულ მსგავსებასთან ერთად მუხლებს შორის შინაარსობრივი მსგავსებაც არის, ვინაიდან სამივე ნაწილი, არსებითად, ერთნაირ ურთიერთობებს აწესრიგებს. გარდა სტრუქტურული და შინაარსობრივი მსგავსებისა, ქართველმა კანონმდებელმა გერმანული კანონის იდენტური დამაკავშირებელი ფაქტორები გამოიყენა. რა თქმა უნდა, ესეც პირდაპირ გამომწვეულია ნაწილების შინაარსობრივი მსგავსებით, თუმცა შესაძლებელია, რომ ქართველ კანონმდებელს ისე გაეზიარებინა გერმანული მოდელის სტრუქტურა და შინაარსი, რომ იდენტური დამაკავშირებელი ფაქტორები არ გამოეყენებინა. მაგალითად, ხელყოფის კონდიქციის შემთხვევებში ნაცვლად ხელყოფის ადგილის სამართლისა, ხელმყოფი ქმედების განხორციელების ან შედეგის დადგომის სამართალი გამოეყენებინა, რითიც შეინარჩუნებდა ზოგად სტრუქტურას, თუმცა დამაკავშირებელი ფაქტორის ცვლილებით.

I.1.2.1. სკს-ის 41 I და EGBGB 38 I მუხლები

სკს-ის 41 I მუხლის თანახმად, თუკი უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის საფუძვლად სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს, მაშინ

⁶ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 24.

გამოიყენება ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი. გერმანული EGBGB 38 I მუხლიც აწესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების ისეთ შემთხვევებს, როცა შესრულების საფუძველი სამართლებრივი ურთიერთობაა. მართალია ქართულისგან განსხვავებით, გერმანული ნორმა „შესრულების კონდიქციის“ შემთხვევებს აწესრიგებს, ქართული კი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, თუმცა, ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას გერმანულ და ქართულ მატერიალურ (და არა კოლიზიურ) სამართალს შორის განსხვავებით. სკს-ის 41 I მუხლის თანახმად, დამაკავშირებელ ფაქტორად განხილულია „საფუძვლად არსებული ურთიერთობა“, რომლის სამართალიც, ასევე აწესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნას. მსგავსი მიდგომაა გატარებული EGBGB 38 I მუხლშიც.

1.1.2.2. სკს-ის 41 II და EGBGB 38 II მუხლები

სკს-ის 41 II მუხლი აწესრიგებს ხელყოფის კონდიქციის შემთხვევებს და უკავშირებს მათ „იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ეს ხელყოფა მოხდა.“ ამის მსგავსად, EGBGB 38 II მუხლიც შეეხება „ხელყოფის კონდიქციის“ შემთხვევებს და უკავშირებს მათ ხელყოფის ადგილის სამართალს. სკს-ის 41 II მუხლი შეეხება უსაფუძვლო გამდიდრების ისეთ შემთხვევებს, რომელიც გამომდინარეობს სიკეთის ხელყოფიდან, ანუ დელიქტიდან. ასეთ დროს, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები ექვემდებარება „იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ეს ხელყოფა მოხდა.“ ხელყოფის ადგილი, როგორც დამაკავშირებელი ფაქტორი, გამოიყენებულია EGBGB 38 II მუხლშიც.

1.1.2.3. სკს-ის 41 III და EGBGB 38 III მუხლები

სკს-ის 41 III მუხლი არის ფართო შინაარსის ნორმა, რომელიც მოიცავს უსაფუძვლო გამდიდრების ყველა სხვა შემთხვევას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წინა მუხლების პირობებს. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება გამდიდრების ადგი-

ლის სამართალი. იდენტური მოწესრიგებაა გერმანულ კანონშიც, ვინაიდან EGBGB 38 III მუხლიც ეხება უსაფუძვლო გამდიდრების „სხვა შემთხვევებს“ და უკავშირებს მათ გამდიდრების ადგილის სამართალს. სკს-ის 41 III მუხლი შეეხება უსაფუძვლო გამდიდრების ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ვერ თავსდება წინა ორი პარაგრაფის მოქმედების სფეროში. ასეთ დროს კანონმდებელმა დამაკავშირებელ ფაქტორად აირჩია გამდიდრების შედეგების დადგომის ადგილი. იგივე მიდგომა არის გატარებული EGBGB 38 III მუხლშიც.

1.2. განსხვავება სკს-ის 41-ე და EGBGB 38-ე მუხლებს შორის

ქართულ და გერმანულ ნორმებს შორის ორი ძირითადი განსხვავებაა: (1) EGBGB 38 I მუხლი არეგულირებს „შესრულების კონდიქციის“ შემთხვევებს, ხოლო სკს-ის 41 I აწესრიგებს ყველა სახის შემთხვევას, მათ შორის, „შესრულების კონდიქციასაც“, რომლის საფუძველიც დამაკავშირებელი სამართლებრივი ურთიერთობაა; და (2) გერმანულ სამართალში არსებობს დამცავი EGBGB 41-ე მუხლი, რომლის მსგავსიც ქართულ სამართალში არ გვხვდება.

1.2.1. სკს-ის 41 I მუხლი და შესრულების კონდიქცია

სკს-ის 41 I და EGBGB 38 I მუხლებს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ EGBGB 38-ე მუხლი ფორმულირებულია გერმანული უსაფუძვლო გამდიდრების სისტემის შესაბამისად და იმეორებს კონდიქციური მოთხოვნების დაყოფას შესრულების, ხელყოფისა და სხვა სახის კონდიქციებად.⁷ ამის საპირისპიროდ, სკს-ის 41 I არ შემოიფარგლება მხოლოდ შესრულების კონდიქციით. თუმცა, ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას გერმანულ და ქართულ უსაფუძვლო გამდიდრების მატერიალურ სამართალს შორის განსხვავებით. კერძოდ, მართალია ქართული უსაფუძვლო გამდიდრების

⁷ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 3.

სამართალიც იცნობს შესრულების კონდიციას,⁸ თუმცა გერმანულ სისტემას სრულად არ იზიარებს და „წარმოადგენს თითქმის უცვლელ ახლს 1981 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის დეტლეფ კონიგის მიერ შემუშავებული პროექტისა,“ რომელიც თავად გერმანიაშიც არ შესულა ძალაში.⁹ გერმანული მოდელი სპეციფიკურია და მისი უცვლელად კოპირება არ შეეძლო, მაგალითად, არც ევროპელ კანონმდებელს რომის II რეგულაციაში, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების გერმანული დაყოფა ევროპის სხვა ქვეყნებში არ არსებობს.¹⁰ თუმცა, უსაფუძვლო გამდიდრების კლასიფიკაცია შესრულების, ხელყოფისა და სხვა სახის კონდიციებად არ არის მხოლოდ გერმანული კოლიზიური სამართლის ექსკლუზივი.¹¹

1.2.2. დამცავი ნორმა: EGBGB 41-ე მუხლი

დამატებით განსხვავებას განაპირობებს EGBGB 41-ე მუხლი, რომელიც ერთგვარ დამცავ ფუნქციას ასრულებს და ადგენს „უფრო მჭიდროდ“ დაკავშირებული სამართლის გამოყენებას.¹² მსგავსი კორექციის ფუნქციის მქონე ნორმა ქართულ კანონში არ არსებობს. როგორც აღინიშნა, სკს-ის 41-ე მუხლის შინაარსის

ფორმულირებისას ქართველი კანონმდებელი ვერ იხელმძღვანელებდა გერმანული კანონით, ვინაიდან მსგავს ნორმას EGBGB არ ითვალისწინებდა. თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა მსგავსება დღეს მოქმედ EGBGB 38-ე მუხლის შინაარსთან, რომელიც 1999 წლის ცვლილებების შედეგად დაემატა გერმანულ კანონს.

II. ევროპული სამართალი

რომი II 10. უსაფუძვლო გამდიდრება

თუკი არასახელმეკრულებო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა უსაფუძვლო გამდიდრებისგან, მათ შორის შეცდომით თანხის გადახდა, უკავშირდება მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას, როგორცაა ხელმეკრულებიდან ან დელიქტიდან წარმოშობილი ურთიერთობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული უსაფუძვლო გამდიდრებასთან, იგი უნდა მოწესრიგდეს იმ სამართლით, რომელიც არეგულირებს დაკავშირებულ ურთიერთობას.

როცა გამოსაყენებელი სამართლის დადგენა შეუძლებელია პირველი პარაგრაფის შესაბამისად და მხარეებს აქვთ საცხოვრებელი

⁸ სუსგ №ას-1530-2022, 22/03/2023, 22. [„საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 976 I ა) მუხლით რეგულირებულია ე. წ. „შესრულების კონდიცია.“]

⁹ გიორგი რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება (2020) 7.

¹⁰ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 3. ზოგადად, სამართლებრივი ნორმების რეცეფციასთან დაკავშირებით იხ. *Alan Watson, Legal Transplants: An Approach to Comparative Law (1974)*.

¹¹ ერთ-ერთი ავტორი ინგლისური სამართლის პერსპექტივიდან მიუთითებს, რომ რესტიტუციური მოთხოვნები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: (ა) შესრულების შემთხვევები, მაგალითად თანხის გადახდა; (ბ) ხელყოფის შემთხვევები, მაგალითად იგივე **disgorgement of profits**; და (გ) მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება სანივთო უფლებებს, მაგალითად **constructive trust**. პირველი კატეგორიის მოთხოვნები ითვლება უსაფუძვლო გამდიდრებად, თუმცა მეორე და მესამე კატეგორიის მოთხოვნების კვალიფიკაცია სადავოა ინგლისურ სამართალში. *Adeline Chong, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 Int.*

Comp. L. Q. 863, 865 (2008); Richard Plender, Michael Wilderspin, The European Private International Law of Obligations (2009) 687, 24-021.

¹² გერმანული კანონის 41-ე მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

EGBGB 41. არსებითად უფრო მჭიდრო კავშირი

(1) თუკი არსებობს არსებითად უფრო მჭიდრო კავშირი სხვა ქვეყანასთან, რომელიც არ არის 38-დან 40 II მუხლების შესაბამისად განსაზღვრული ქვეყანა, მაშინ გამოიყენება ამ სხვა ქვეყნის სამართალი.

(2) არსებითად უფრო მჭიდრო კავშირი შეიძლება დაეფუძნოს, მაგალითად:

1. სპეციალურ სამართლებრივ ან ფაქტობრივ ურთიერთობას მხარეთა შორის ვალდებულებასთან მიმართებით, ან

2. 38 II-III და 39-ე მუხლების შემთხვევაში იმ ფაქტს, რომ მხარეებს შესაბამისი მოვლენების განხორციელებისას საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ ერთსა და იმავე ქვეყანაში; 40 II 2 მუხლი გამოიყენება *mutatis mutandis*.

ადგილი ერთსა და იმავე ქვეყანაში, იმ მომენტისათვის, როცა უსაფუძვლო გამდიდრების გამომწვევი მოვლენა მოხდა, გამოიყენება ამ ქვეყნის სამართალი.

როცა გამოსაყენებელი სამართლის დადგენა შეუძლებელია პირველი და მეორე პარაგრაფების შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც გამდიდრება მოხდა.

(4) როცა საქმის ყველა გარემოებებიდან ნათელია, რომ უსაფუძვლო გამდიდრებისგან წარმოშობილი არასახელშეკრულებო ვალდებულება უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული პირველ, მეორე და მესამე პარაგრაფებში მითითებულისგან განსხვავებულ ქვეყანასთან, მაშინ გამოიყენება ამ სხვა ქვეყნის სამართალი.

ევროპულ სამართალში მოქმედებს რომის II რეგულაცია, რომელიც არეგულირებს არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხებს. უშუალოდ უსაფუძვლო გამდიდრებას ეხება მე-10 მუხლი. რეგულაციამ უარი თქვა უსაფუძვლო გამდიდრების სისტემაზე და აქცენტი დამაკავშირებელ ფაქტორებზე გააკეთა. რეალურად, ევროპელმა კანონმდებელმა ერთ მუხლში გააერთიანა კოლიზიური უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი ფაქტორები.

II.1. უპირატესი გამოყენების ნორმა: 10 IV მუხლი

შინაარსიდანაც ჩანს რომის II რეგულაციის 10 IV მუხლი უპირატესი გამოყენებისაა, ხოლო მუხლის პირველ სამ ნაწილს შორის იერარქიული მიმართებაა.¹³ რეგულაციის 10 IV მუხლის მიხედვით კავშირი უნდა იყოს აშკარად უფრო მეტად მჭიდრო.¹⁴ ამ დანაწესით ევროპელმა კანონმდებელმა ხაზი გაუსვა მჭიდრო კავშირის

მნიშვნელობას, რაც რეგულაციის სხვა მუხლებშიც გვხვდება [კონკრეტულად კი 4 III, 5 II, 11 IV და 12 II c) მუხლები].

II.2. რომის II რეგულაციის 10 I მუხლი

თუკი სახეზე არ არის 10 IV მუხლით გათვალისწინებული აშკარად უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყანა, მაშინ უპირატესობა ენიჭება რომის II რეგულაციის 10 I მუხლს და გამოიყენება საფუძვლად არსებული ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი.¹⁵ ფაქტობრივად, რომის II რეგულაციის 10 I მუხლი სკს-ის 41 I მუხლის იდენტური შინაარსისაა. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ რომის II რეგულაციის 10 I მუხლი აკონკრეტებს გარკვეულ შინაარსობრივ საკითხებს: (1) მითითებულია, რომ მოთხოვნა უნდა იყოს „არასახელშეკრულებო“, რაც ქართულ რეალობაში ავტომატურად ნაგულისხმევია უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნების არსებობისას; (2) მეორე დაკონკრეტება ეხება შესრულების საგანს – მითითებულია, რომ იგულისხმება, ასევე, შეცდომით მიღებული თანხის შემთხვევებიც. სკს-ის 41 I მუხლი მოიცავს, მათ შორის, თანხის შეცდომით გადახდასაც; (3) მესამე დაკონკრეტება შეეხება საფუძვლად არსებულ ურთიერთობას – მითითებულია, რომ საფუძვლად არსებული ურთიერთობა შეიძლება იყოს ხელშეკრულება ან დელიქტი. სკს-ის 41 I მუხლიც მოქმედებს ამგვარი შემთხვევების მიმართ; (4) მეოთხე დაკონკრეტება ეხება იმას, რომ საფუძვლად არსებული ურთიერთობა მჭიდრო კავშირში უნდა იყოს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნასთან. მართალია ამგვარ მითითებას ქართული კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა ეს შინაარსობრივად გამომდინარეობს სკს-ის 41 I მუხლიდან.¹⁶

II.3. რომის II რეგულაციის 10 II მუხლი

თუკი სახეზე არ არის ამგვარი დაკავშირებული ურთიერთობა, მაშინ რომის II რეგულაციის

¹³ Peter Huber (ed.), Rome II Regulation (2011) 292-293.

¹⁴ Id. 299.

¹⁵ Stephen Pitel, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), The

Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations (2009) 238.

¹⁶ Richard Plender, Michael Wilderspin, The European Private International Law of Obligations (2009) 706, 24-092.

10 II მუხლის შესაბამისად გამოიყენება საერთო საცხოვრებელი ქვეყნის სამართალი (*Lex Domicilii Communis*).¹⁷ საერთო საცხოვრებელი უნდა არსებობდეს იმ მომენტში, როცა განხორციელდა უსაფუძვლო გამდიდრების წარმოშობი ქმედება და საცხოვრებლის შემდგომი ცვლილება უმნიშვნელოა.¹⁸

II.4. რომის II რეგულაციის 10 III მუხლი

რომის II რეგულაციის 10 III მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სამართლის დადგენა შეუძლებელია სხვა ნაწილების საფუძველზე. ასეთ დროს გამოსაყენებელი სამართალი „უნდა იყოს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც უსაფუძვლო გამდიდრება მოხდა.“ ეს დანაწესი დამაკავშირებელი ფაქტორით ეხმიანება სკს-ის 41 III მუხლს.

III. ამერიკული სამართალი¹⁹

III.1. კოლიზიური სამართლის პირველი კოდიფიკაცია

221-ე სექცია: უსაფუძვლო გამდიდრებისგან წარმოშობილი ვალდებულება

როდესაც პირის მიმართ წაყენებულია პრეტენზია მის უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით, გამდიდრების ადგილის ქვეყნის სამართალი განსაზღვრავს არის თუ არა იგი ვალდებული უკან დააბრუნოს ის, რითიც გამდიდრდა.

ამერიკული კოლიზიური სამართლის პირვე-

ლი კოდიფიკაცია გამოირჩეოდა შედარებით ხისტი რეგულირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ კოდიფიკაცია ცალსახად ადგენდა დამაკავშირებელ ფაქტორს და მოსამართლეს არ უტოვებდა დისკრეტციას, ან არჩევანს რამდენიმე ალტერნატივიდან. მეორე კოდიფიკაციამ ეს მიდგომა შეცვალა და აირჩია მოქნილი რეგულირების მეთოდი, როცა ხისტი ნორმები ჩანაცვლებულ იქნა მოქნილი პრინციპებით, რაც სასამართლოს მეტ დისკრეტციას ანიჭებს.

უსაფუძვლო გამდიდრებასთან მიმართებით პირველმა კოდიფიკაციამ არჩია გამდიდრების ადგილის სამართლის გამოყენება. ეს მიდგომა მხარდაჭერილი იყო იმ დროინდელ ფრანგულ, ბელგიურ და ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურაში.²⁰ პირველი კოდიფიკაცია თავიდანვე დიდი კრიტიკის საგანი გახდა. ამ წესის კრიტიკოსები ყოველთვის მიუთითებდნენ მის ბუნდოვანებაზე, ვინაიდან მკაფიოდ არ ჩანდა აქ იგულისხმება ქმედების განხორციელების თუ გამდიდრების ადგილის სამართალი.²¹ ასევე, წესი არადაამაკმაყოფილებელი იყო განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა მხარეებს შორის არსებობდა წინარე სამართლებრივი ურთიერთობა და ამგვარად არჩეულ სამართალს ურთიერთობასთან ნაკლები კავშირი ჰქონდა.²² შედეგად, ეს მიდგომა მეორე კოდიფიკაციაში შეიცვალა.

III.2. კოლიზიური სამართლის მეორე კოდიფიკაცია

221-ე სექცია: რესტიტუცია

რესტიტუციის მოთხოვნებში, მხარეთა უფ-

¹⁷ Peter Huber (ed.), Rome II Regulation (2011) 296.

¹⁸ Id. 296.

¹⁹ ძირითადი სახელმძღვანელო ამერიკულ კოლიზიურ სამართალში არის Peter Hay, Conflict of Laws (2018). გარდა ამისა, ამერიკული კოლიზიური სამართლის კოდიფიკაციები და მისი ოფიციალური კომენტარები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

²⁰ Ernst Rabel, Conflict of Laws (1964) 378.

²¹ Saul Cohen, Quasi-Contract and the Conflict of Laws, 31 L.A. Bar Bull. 71, 77 (1956). იხ. ციტირება: Peter Hay, Conflict of Laws (2018) 1187.

²² John Morris, The Choice of Law Clause in Statutes, 62 L.Q. Rev. 170, 182-183 (1946) [“რაც შეეხება კოდიფიკაციას, საყოველთაოდ ცნობილია კოლიზიური სამართლის დარგის სპეციალისტებისათვის, რომ კოდიფიკაციის ხელმძღვანელი მეტისმეტად გატაცებული იყო ტერიტორიული თეორიებით ... გამდიდრების ადგილს, შესაძლოა, მაგალითად, ჰქონდეს მხოლოდ შორეული კავშირი ვალდებულების არსებობის რეალურ ადგილთან, როგორც არის შემთხვევა, როცა თანხის გადახდა განხორციელდა შაბათ შუადღეს ნიუ ჯერზის გოლფის კლუბში, თუმცა ტრანზაქცია, რომლის ფარგლებშიც არსებობდა თანხის გადახდის ვალდებულება, სრულად ნიუ იორკის ტრანზაქცია იყო.”]. იხ. ციტირება: Peter Hay, Conflict of Laws (2018) 1187.

ლებები და მოვალეობები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რეგულირდება იმ ქვეყნის ადგილობრივი სამართლით, რომელსაც, ამ საკითხის კონტექსტში, აქვს ყველაზე მჭიდრო კავშირი შემთხვევასთან და მხარეებთან მე-6 სექციაში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით.

დამაკავშირებელი ფაქტორები, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მე-6 სექციაში დადგენილი პრინციპების გამოყენებისას, რათა დადგინდეს მარეგულირებელი სამართალი, მოიცავს:

ადგილს, სადაც მხარეთა ურთიერთობის ცენტრი მდებარეობდა, იმის გათვალისწინებით, რომ გამდიდრების მიღება არსებითად დაკავშირებული იყო ამ ურთიერთობასთან,

ადგილს, სადაც სარგებელი ან გამდიდრება იქნა მიღებული,

ადგილს, სადაც სარგებლის ან გამდიდრების გამომწვევი ქმედება განხორციელდა,

დომიცილს, საცხოვრებელს, ეროვნებას, რეგისტრაციის ადგილს და მხარეთა ბიზნესის ადგილს, და

ადგილს, სადაც ფიზიკური ნივთი, როგორცაა მიწა ან მოძრავი ქონება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული გამდიდრებასთან, მდებარეობდა გამდიდრების მომენტისათვის.

ეს დამაკავშირებელი ფაქტორები უნდა შეფასდეს კონკრეტულ განსახილველ საკითხთან მათი შედარებითი მნიშვნელობის საფუძველზე.

III.2.1. მოქნილი რეგულირება

მეორე კოდიფიკაციამ შეიმუშავა უსაფუძვლო გამდიდრების მოქნილი რეგულირება, რაც გულისხმობს მოსამართლისთვის ფართო დისკრეციის მინიჭებას.²³ ნაცვლად წინასწარ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული სამართლისა,

შემუშავებულია სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს გამოსაყენებელი სამართლის არჩევინას.²⁴ ამით შეიცვალა პირველი კოდიფიკაციის ხისტი მიდგომა, რომლის 453-ე სექციაც უსაფუძვლო გამდიდრების ყველა შემთხვევას გამდიდრების ადგილის სამართალს უქვემდებარებდა. პირველი კოდიფიკაცია მხარს უჭერდა სარგებლის გადაცემის ადგილის სამართლის გამოყენებას.²⁵

III.2.2. მე-6 სექცია და სახელმძღვანელო პრინციპები

გარდა 221-ე სექციაში ჩამოთვლილისა, ამერიკული მოდელის მიხედვით არსებობს ზოგადი ხასიათის მე-6 სექციაც, რომელიც უნივერსალურად გამოიყენება სამართლის არჩევის ყველა ნორმის მიმართ. მეორე კოდიფიკაციის 6 II სექცია ჩამოთვლის შვიდ სახელმძღვანელო პრინციპს, რომლებიც მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას:

- (1) შტატთაშორისი და საერთაშორისო სისტემების საჭიროებები;
- (2) განმხილველი ქვეყნის სამართლის რელევანტური მიზნები;
- (3) სხვა დაინტერესებული ქვეყნების სამართლის რელევანტური მიზნები და ამ ქვეყნების ინტერესები კონკრეტული საკითხის გადანყვეტაში;
- (4) ლეგიტიმური მოლოდინების დაცვა;
- (5) კონკრეტული სამართლის დარგის საფუძვლად არსებული პრინციპები;
- (6) სიცხადე, წინასწარ განჭვრეტადობა და შედეგების უნიფიცირება; და
- (7) მარეგულირებელი სამართლის დადგენისა და გამოყენების გაადვილების მიზნები.

²³ ხისტი და მოქნილი რეგულირების საკითხთან დაკავშირებით იხ.: ალექსანდრე იოსელიანი, მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელმძღვანელო საკოლიზიო სამართალში (2010). [http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/al_eqsandre_ioseliani.pdf].

²⁴ *Stephen Pitel*, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), *The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations* (2009) 234-235.

²⁵ *Peter Hay*, *Conflict of Laws* (2018) 1187.

მეორე კოდიფიკაციის მე-6 და 21-ე სექციებში ჩამოთვლილი პრინციპებიდან რესტიტუციის საქმეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შტატთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი ინტერესები. როგორც წესი, დაინტერესებულ ქვეყნებს შემთხვევასთან ან მხარეებთან ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან რამდენიმე სახის კავშირი აქვთ. ასევე მნიშვნელოვანია, განმხილველი ქვეყნის ადგილობრივი სამართლის მიზნები, სხვა დაინტერესებული იურისდიქციების მიზნები, ასევე, სამართლის გამოყენებისა და დადგენის გაადვილების მიზნები. ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ლეგიტიმური მოლოდინების დაცვა.

IV. ქართული სამართალი

IV.1. ტერმინი „უსაფუძვლო გამდიდრება“

სკს-ის 41-ე მუხლი ანესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნებს, თუმცა, ეს ტერმინი იურისდიქციების მიხედვით განსხვავებულ შინაარსს ატარებს.²⁶ სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, რომ წარმოდგენილია უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა სკს-ის 41-ე მუხლის მიზნებისათვის.²⁷ არ არის გადაწყვეტი, თუ რა სამართლებრივ საფუძველს მიუთითებს მოსარჩელე.²⁸ ტერმინ „უსაფუძვლო გამდიდრებას“ სკს-ის 41-ე მუხლის მიზნებისათვის ავტონომიური მნიშვნელობა აქვს.

IV.1.1. ავტონომიური მნიშვნელობა

სკს-ის 41-ე მუხლი არის ქართული სამართლის ნორმა, ამიტომ მისი შინაარსი უნდა დადგინდეს ქართული სამართლის საფუძველზე (*lex fori* კვალიფიკაცია).²⁹ უსაფუძვლო გამდიდრებას ქართულ სამართალში ანესრიგებს სკს-ის 976-991-ე მუხლები. თუმცა, სკს-ის 41-ე მუხლი არის კოლიზიური ნორმა, ამიტომ მას ავტონომიური შინაარსი აქვს,³⁰ რაც არ არის აუცილებელი იყოს ქართული მატერიალური უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის იდენტური.³¹ განმარტებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კოლიზიური სამართლის პრინციპებით. იმავე მიდგომას იზიარებს რომის II რეგულაციაც, რომლის შესავალი ნაწილის მე-11 პუნქტშიც მითითებულია, რომ „არასახელშეკრულებო ვალდებულებების კონცეფცია ნევრ სახელმწიფოებში განსხვავებულია. ამიტომ ამ რეგულაციის მიზნებისათვის არასახელშეკრულებო ვალდებულებები გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ავტონომიური კონცეფცია.“³²

IV.1.2. ტერმინ „უსაფუძვლო გამდიდრების“ ძირითადი პარამეტრები

რომის II რეგულაციის შესავალი ნაწილის 29-ე მუხლი მიუთითებს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები არ გამომდინარეობს არც დელიქტისგან და არც ხელშეკრულებისგან.³³

²⁶ *Ernst Rabel*, Conflict of Laws (1964) 376; *Adeline Chong*, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 Int. Comp. L. Q. 863, 873 (2008).

²⁷ *Id.* 864.

²⁸ *Stephen Pitel*, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations (2009) 236.

²⁹ *MüKoBGB/Junker*, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 2; *BeckOK BGB/Spickhoff*, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 8; *Stephen Pitel*, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations (2009) 238.

³⁰ *Richard Plender*, *Michael Wilderspin*, The European Private International Law of Obligations (2009) 688, 24-020; *Graff-Peter Calliess*, Rome Regulations (2011) 498, 1.

³¹ *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 365-366; რომის II რეგულაციის შემუშავებისას არსებული დებატების მიმოხილვა იხ.: *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 364-365; *BeckOK BGB/Spickhoff*, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 8; *MüKoBGB/Junker*, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 2.

³² *Adeline Chong*, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 Int. Comp. L. Q. 863, 872 (2008); *Stephen Pitel*, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations (2009) 238.

³³ *Graff-Peter Calliess* (ed.), Rome Regulations (2011) 499, 4.

ტერმინის ავტონომიური შინაარსი განსაზღვრავს მისი სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავების ძირითად კრიტერიუმებს. მთავარი იდეა არის ის, რომ ნორმა უნდა ითვალისწინებდეს აქტივების ისეთ გადაცემას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და უნდა იქნეს უკუქცეული.³⁴ შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრებისას აქცენტი კეთდება მოპასუხის გამდიდრებაზე, ნაცვლად მოსარჩელისადმი მიყენებული ზიანისა.³⁵

IV.1.2.1. განსხვავება ხელშეკრულებებთან

ძირითადი განსხვავება ხელშეკრულებებთან არის ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრებაში სახეზე არ არის შეთანხმება. ამასთან, როდესაც რესტიტუციის მოთხოვნა გამომდინარეობს ბათილი ხელშეკრულებიდან, ცხადია, სახეზეა მოპასუხის გამდიდრება, თუმცა ასეთ შემთხვევაში გამოიყენება არა სკს-ის 41-ე, არამედ სკს-ის 35-36-ე მუხლები,³⁶ როგორც სპეციალური ნორმები.³⁷ თუკი მოსარჩელემ შესრულება ზედმეტობით განახორციელა, მაშინ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ნაწილში უკუქცევის მოთხოვნა დაექვემდებარება სკს-ის 35-36-ე მუხლებს, ხოლო ზედმეტობის ნაწილში რესტიტუციის მოთხოვნა დაექვემდებარება სკს-ის 41-ე მუხლს, ვინაიდან ზედმეტობის რესტიტუციის მოთხოვნა არსებობს იმისდა მიუხედავად, ბათილია თუ არა ხელშეკრულება.³⁸

IV.1.2.2. განსხვავება დელიქტებისგან

დელიქტებისგან განსხვავებისას ყურადღება უნდა მიექცეს ორ ძირითად გარემოებას: მოთხოვნის საფუძველი და მოთხოვნის სამართლებრივი შედეგები.³⁹ სასურველია სასამართლომ ეს პრინციპები კომბინირებულად გამოიყენოს.⁴⁰

მოთხოვნის საფუძველებში იგულისხმება მისი წინაპირობები, კონკრეტულად კი მნიშვნელოვანია მოპასუხის ქმედება.⁴¹ დელიქტური მოთხოვნები საჭიროებენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, უსაფუძვლო გამდიდრებისას კი ეს აუცილებელი არ არის.⁴²

შედეგების თვალსაზრისით გადამწყვეტია რას ითხოვს მოსარჩელე: ზიანის ანაზღაურებას თუ მოპასუხის გამდიდრების უკუქცევას.⁴³ დელიქტისას აქცენტი კეთდება ზიანზე, მაშინ როცა უსაფუძვლო გამდიდრება კონცენტრირდება გამდიდრების რესტიტუციაზე.⁴⁴ განსაკუთრებული შემთხვევებია მოგების უკუქცევის (disgorgement of profits) საქმეები, სადაც, შესაძლოა, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აყენებდეს, თუმცა ზიანის კალკულაციას უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპებზე აფუძნებდეს.⁴⁵

IV.1.2.3. განსხვავება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან

ძირითადი განსხვავება დავალების გარეშე

³⁴ Id. 500, 5; *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), *European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation* (2019) 366. მაგალითად, ინგლისურ სამართალში მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს სამი გარემოება: (ა) მოპასუხე გამდიდრდა, (ბ) გამდიდრება მოხდა მოსარჩელის ხარჯზე, და (გ) გამდიდრება იყო უსაფუძვლო (unjust). *Adeline Chong*, *Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation*, 57 *Int. Comp. L. Q.* 863, 870 (2008). აქვე, ავტორი მიუთითებს, რომ კანადაში მესამე ელემენტი არის გამდიდრებისათვის იურიდიული საფუძვლის არარსებობა. *Pettkus v Becker* [1980] 2 *SCR* 834, (1980) 117 *DLR* (3d) 257 (SCC); *Richard Plender, Michael Wilderspin*, *The European Private International Law of Obligations* (2009) 687, 24-023.

³⁵ *Gralf-Peter Calliess*, *Rome Regulations* (2011) 499, 2.

³⁶ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 290.

³⁷ Id. 290; *BeckOK BGB/Spickhoff*, 2. Ed. 1.4.2003, *EGBGB Art. 38 Rn. 6; MüKoBGB/Junker*, 8. Aufl. 2021, *Rom II-VO*

Art. 10 Rn. 15; Andrew Dickinson, *The Rome II Regulation* (2008) 496-497, 10-16.

³⁸ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 291.

³⁹ Id. 289; *Andrew Dickinson*, *The Rome II Regulation* (2008) 496-497, 4.11-4.19; *Adeline Chong*, *Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation*, 57 *Int'l & Comp. L. Q.* 863, 890 (2008).

⁴⁰ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 289; *Richard Plender, Michael Wilderspin*, *The European Private International Law of Obligations* (2009) 691, 24-033.

⁴¹ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 289.

⁴² Id. 289; *Andrew Dickinson*, *The Rome II Regulation* (2008) 496-497, 4.13.

⁴³ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 289.

⁴⁴ *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), *European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation* (2019) 367.

⁴⁵ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 289.

სხვისი საქმეების შესრულებასა და უსაფუძვლო გამდიდრებას შორის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში პირი, ძირითადად, მოქმედებს ალტრუისტული მოტივებით.⁴⁶ თუმცა, ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემა ევროპულთან შედარებით უსაფუძვლო გამდიდრებასა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას ნაკლებად განასხვავებს ერთმანეთისაგან.

IV.2. მოქმედების ფარგლები

სახელშეკრულებო სამართლისაგან განსხვავებით, სადაც მოქმედების ფარგლები სკს-ის 35-ე მუხლშია მითითებული, კანონმდებელმა სკს-ის 41-ე მუხლში სამართლის მოქმედების ფარგლები არ დააკონკრეტა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი კონკრეტიზაცია უსაფუძვლო გამდიდრების კოლიზიურ სამართალში, ზოგადად, იშვიათობაა.

IV.2.1. ჰამბურგის ჯგუფის პროექტი

ერთ-ერთი ამგვარი ინიციატივა ევროპელმა კანონმდებელმაც უარყო რომის II რეგულაციის შემუშავებისას.⁴⁷ კერძოდ, საინტერესო ნინადადება მოამზადა საერთაშორისო კერძო სამართლის ჰამბურგის ჯგუფმა, რომლის მიხედვითაც უსაფუძვლო გამდიდრების რეგულირების სფეროში შედის:

- (1) ვალდებულების საფუძვლები და წინაპირობები, მათ შორის, კრედიტორისა და მოვალის განსაზღვრა;
- (2) ვალდებულების მიმართ არსებული შესაგებლები და მისი გამომრიცხველი გარემოებები;
- (3) პასუხისმგებლობის ფარგლები, მათ შორის, ნებისმიერი პრივილეგია, პასუხისმგებლობის გამორიცხვა, მისი დაყოფა და სხვაგვარად შეზღუდვა, ასევე საკითხი იმის

თაობაზე, რესტიტუცია თანხით უნდა განხორციელდეს თუ ნატურით;

- (4) პასუხისმგებლობის გავრცელება მესამე პირებზე;
- (5) პასუხისმგებლობის მესამე პირებზე გადასვლა, მათ შორის, მემკვიდრეობის მეშვეობით;
- (6) შესრულება და ვალდებულების შეწყვეტის სხვა და სხვა ფორმები;
- (7) ხანდაზმულობის ვადები, მათ შორის, მათი დანყების, შეწყვეტისა და შეჩერების მარეგულირებელი ნორმები; და
- (8) მოთხოვნები კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით (tracing claims).⁴⁸

ეს ნინადადება ევროპელმა კანონმდებელმა უარყო, თუმცა, ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შინაარსობრივად ისინი უარყოფილ იქნა.⁴⁹

IV.2.2. რომის II რეგულაციის მე-15 მუხლი

რომის II რეგულაციაში მაინც არის სპეციალური მე-15 მუხლი, რომელიც ადგენს არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის მოქმედების ფარგლებს, თუმცა იგი ეხება არა მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრებას, არამედ დელიქტებსაც და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასაც.⁵⁰ მეტიც, ჩამონათვალი უფრო მეტად დელიქტებზე აკეთებს აქცენტს.⁵¹ ამასთან, მუხლის ჩამონათვალი არის საილუსტრაციო და არა ამომწურავი.⁵²

მუხლი 15. გამოსაყენებელი სამართლის მოქმედების ფარგლები

ამ რეგულაციის შესაბამისად არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი არეგულირებს, კონკრეტულად:

⁴⁶ Id. 290.

⁴⁷ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 388.

⁴⁸ Id. 388.

⁴⁹ Id. 388.

⁵⁰ Id. 539, 4.

⁵¹ Id. 388.

⁵² Id. 543, 12.

- (a) პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და ფარგლებს, მათ შორის იმ პირებს განსაზღვრავს, რომლებიც შეიძლება პასუხისმგებლები იყვნენ მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებზე;
- (b) პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს, პასუხისმგებლობის ნებისმიერ შეზღუდვასა და განაწილებას;
- (c) ზიანის ან მოთხოვნილი სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობას, ბუნებასა და დაანგარიშებას;
- (d) სასამართლოსთვის თავისი პროცესუალური სამართლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მექანიზმებს, რომლებიც, შესაძლოა, სასამართლომ გამოიყენოს რათა უზრუნველყოს ზიანის პრევენცია ან აღკვეთოს იგი ან უზრუნველყოს კომპენსაციის გადახდა;
- (e) საკითხს იმის შესახებ, ზიანის ანაზღაურების ან სხვა სახის მოთხოვნა შეიძლება თუ არა გადაეცეს სხვას, მათ შორის მემკვიდრეობის გზით;
- (f) პირებს, რომლებსაც აქვთ პირადად განცდილი ზიანისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება;
- (g) პასუხისმგებლობას სხვა პირების მიერ განხორციელებული ქმედებების გამო;
- (h) მანერას, რომლითაც ვალდებულება შეიძლება შეწყდეს და ხანდაზმულობის ვადების მომწესრიგებელ წესებს, მათ შო-

რის წესებს, რომლებიც ეხება ხანდაზმულობის ვადის დაწყებას, შეწყვეტასა და შეჩერებას.

IV.2.3. სკს-ის 41-ე მუხლი

სკს-ის 41-ე მოქმედების ფარგლებს ბუნებრივად განსაზღვრავს მისი შინაარსი და სტრუქტურა.⁵³ იგი, არსებითად, მოიცავს უსაფუძვლო გამდიდრების ყველა ძირითად საკითხს, მათ შორის: მოთხოვნის წარმოშობა და მისი წინაპირობები,⁵⁴ მოთხოვნის შინაარსი,⁵⁵ მოთხოვნის შედეგები,⁵⁶ მიმართება სხვა და სხვა ტიპის კონდიქციურ მოთხოვნებს შორის,⁵⁷ პასუხისმგებლობის ფარგლები,⁵⁸ მათ შორის, მიღებული სარგებლის,⁵⁹ კომპენსაციის ან მისი ღირებულების მოთხოვნები⁶⁰ და გამდიდრების არარსებობა.⁶¹

ნორმის მოქმედების ფარგლები იგივე რჩება მხარეთა მიერ სკს-ის 43-ე მუხლის საფუძველზე სამართლის არჩევის შემთხვევაშიც. თუმცა, დაკავშირებული კითხვები, როგორებიცაა, მაგალითად, ნივთზე საკუთრების მოპოვება, რეგულირდება დამოუკიდებელი სამართლით,⁶² რომელიც განისაზღვრება განმხილველი სასამართლოს კოლიზიური ნორმებით.⁶³ ამასთან, მოთხოვნათა კონკურენციის საკითხს, მაგალითად, შეიძლება თუ არა ერთდროულად არსებობდეს დელიქტური და უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი არ არეგული-

⁵³ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 2.

⁵⁴ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 32. გერმანული სამართალი („გსკ“) იცნობს მოთხოვნის გამომრიცხველ 4 ასეთ პირობას: 241a, 814-ე, 815-ე და 817-ე მუხლები.

⁵⁵ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 32; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 8; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.5.2022, VO (EG) 864/2007 Art. 10 Rn. 3.

⁵⁶ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 32; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 8; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.5.2022, VO (EG) 864/2007 Art. 10 Rn. 3.

⁵⁷ HK-BGB/Heinrich Dörner, 11. Aufl. 2021, EGBGB Art. 38.

⁵⁸ Id. Art. 38; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law:

Rome II Regulation (2019) 389; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 32.

⁵⁹ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 389.

⁶⁰ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 32; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 389.

⁶¹ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 32; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 32.

⁶² Id. 33.

⁶³ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 389; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.5.2022, VO (EG) 864/2007 Art. 10 Rn. 3.

რებს, ამიტომ იგი უნდა გადაწყდეს გამოსაყენებელი სამართლის მატერიალური ნორმების მიხედვით.⁶⁴

IV.3. რენვოი

IV.3.1. რენვოი რომის II რეგულაციაში

ევროკავშირში მოქმედი რომის II რეგულაციის მე-10 მუხლი რენვოის საკითხს პირდაპირ არ აწესრიგებს. თუმცა, რომის II რეგულაციაში გვხვდება ზოგადი ხასიათის 24-ე მუხლი, რომელიც რეგულაციიდან გამორიცხავს რენვოის მოქმედებას, მათ შორის უსაფუძვლო გამდიდრების საქმეებშიც.⁶⁵

მართალი აწესრიგებს არის თუ არა იგი ვალდებული უკან დააბრუნოს ის, რითიც გამდიდრდა.

როგორც ციტირებული მუხლების ტექსტიდან ჩანს, ამერიკული კოლიზიური სამართლის პირველი კოდიფიკაცია რენვოის საკითხს კონკრეტულად უსაფუძვლო გამდიდრების მიმართ არ აწესრიგებდა. თუმცა, საქმე იმაშია, რომ ამერიკულმა პირველმა კოდიფიკაციამაც მე-7 სექციაში, ზოგადად, უარყო რენვოის დოქტრინა, რაც, ასევე, ვრცელდება უსაფუძვლო გამდიდრებაზეც. კერძოდ, აღნიშნული სექცია შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

მუხლი 24. რენვოის გამორიცხვა

ამ რეგულაციით განსაზღვრული ნებისმიერი ქვეყნის სამართლის გამოყენება გულისხმობს ამ ქვეყანაში მოქმედი სამართლის ნორმების გამოყენებას, გარდა მისი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებისა.

მე-7 სექცია: განმხილველი ქვეყნის სამართლის გამოყენება

გარდა მე-8 სექციაში მოცემული გამონაკლისებისა, როდესაც დავაში ჩართული ორი ქვეყნის კოლიზიური სამართალი განსხვავდება ერთმანეთისგან, გამოიყენება განმხილველი ქვეყნის კოლიზიური სამართლის ნორმები;

IV.3.2. რენვოი ამერიკულ სამართალში

IV.3.2.1. პირველი კოდიფიკაცია

პირველი კოდიფიკაცია უსაფუძვლო გამდიდრებას ორ მუხლს უთმობს: 452-ე და 453-ე სექციები. ისინი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

(a) ყველა საქმე, რომელშიც გამოსაყენებელი სამართლის დადგენამდე აუცილებელია შეფასდეს სამართლებრივი იდეების ხარისხი და ბუნება, უნდა გადაწყდეს განმხილველი ქვეყნის სამართლის შესაბამისად;

(b) სადაც კონკრეტული ვითარების მომწესრიგებელ სამართლად სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს არჩეული, ვინაიდან საქმის გადაწყვეტისას ერთადერთი გამოსაყენებელი კოლიზიური სამართალი არის განმხილველი ქვეყნის კოლიზიური სამართალი, გამოსაყენებელი უცხოური სამართალი უნდა იყოს მატერიალური სამართალი და არა უცხო ქვეყნის კოლიზიური სამართალი.

452-ე სექცია: უფლება, რომელიც წარმოიშობა სარგებლის გადაცემით

იმ ადგილის სამართალი, სადაც სარგებლის გადაცემა მოხდა, აწესრიგებს, ქმნის თუ არა სარგებლის გადაცემა კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას სარგებლის მიმღების მიმართ.

453-ე სექცია: უსაფუძვლო გამდიდრების გამო წარმოშობილი ვალდებულება

როდესაც პირის მიმართ წარდგენილია პრეტენზია, რომ იგი შესაძლოა უსაფუძვლოდ გამდიდრდა, გამდიდრების ადგილის სა-

მართალია პირველმა კოდიფიკაციამ რენვოი გამორიცხა, თუმცა გარკვეული გამონაკლისები მაინც დაუშვა. კერძოდ, მე-7 სექციის ზოგადი წესიდან ორი გამონაკლისი გათვალისწინებულია კოდიფიკაციის მე-8 სექციაში, რომელიც

⁶⁴ Peter Huber (ed.), Rome II Regulation (2011) 288, 290.

⁶⁵ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 34.

რენვოს უშვებს მიწის ნაკვეთთან და განქორწინების ნამდვილობასთან დაკავშირებით:

მე-8 სექცია: მიწის ნაკვეთზე უფლებასთან და განქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი სამართალი

(1) მიწის ნაკვეთზე უფლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი წესრიგდება იმ ქვეყნის სამართალით, სადაც მიწის ნაკვეთი მდებარეობს, მათ შორის ამ ქვეყნის კოლიზიური სამართლის ნორმებით.

(2) განქორწინების დოკუმენტის ნამდვილობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი წესრიგდება მხარეთა საცხოვრებელი ადგილის სამართალით, მათ შორის ამ ქვეყნის კოლიზიური სამართლის ნორმებით.

IV.3.2.2. მეორე კოდიფიკაცია

ამერიკულმა მეორე კოდიფიკაციამ რენვოს მიმართ ზოგადი მიდგომა შეცვალა. კერძოდ, პირველისგან განსხვავებით მეორე კოდიფიკაცია რენვოს გამომრიცხველ ზოგად დანაწესს არ ითვალისწინებს. თუმცა, უსაფუძვლო გამდიდრების საქმეებში რენვოი, კვლავ, გამოიყენება.

უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი 221-ე სექცია რენვოს საკითხს პირდაპირ არ აწესრიგებს, თუმცა, ოფიციალური კომენტარი მიუთითებს, რომ „*მითითება არის გამოსაყენებელი ქვეყნის „ადგილობრივ სამართალზე“ და არა „სამართალზე.“*“⁶⁶ სამართალი გულისხმობს სრულ კანონმდებლობას, მათ შორის კოლიზიურ ნორმებსაც, ხოლო ადგილობრივ სამართალში მოიაზრება, მხოლოდ, მატერიალური ნორმები. კერძოდ, მეორე კოდიფიკაცია ითვალისწინებს სპეციალურ მე-4 სექციას, რომელიც განმარტავს, თუ რა მნიშვნელობით არის ტერმინი „სამართალი“ გამოყენებული კოდიფიკაციაში:

მე-4 სექცია: სამართლის განმარტება

(1) როგორც იგი გამოყენებულია წინამდებარე კოდიფიკაციაში, ქვეყნის „ადგილობრივი სამართალი“ არის სტანდარტების, პრინციპების და წესების ერთობლიობა, კოლიზიური სამართლის ნორმების გამოკლებით, რომელსაც ამ ქვეყნის სასამართლოები იყენებენ დავების გადასაწყვეტად.

(2) როგორც იგი გამოყენებულია წინამდებარე კოდიფიკაციაში, ქვეყნის „სამართალი“ არის ადგილობრივი სამართალი, მათ შორის კოლიზიური ნორმების ჩათვლით.

შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების საქმეებში მეორე კოდიფიკაცია რენვოს გამოყენებას გამორიცხავს. აქვე აღსანიშნავია, რომ მეორე კოდიფიკაციის თანახმად რენვოი, ასევე, გამოიყენება დელიქტური და სახელშეკრულებო სამართლის სფეროებშიც.

IV.3.3. რენვოი გერმანულ სამართალში

IV.3.3.1. ერთიანი მითითება:

სკს-ის მე-4 მუხლი რენვოს საკითხს გერმანული მოდელის მიხედვით აწესრიგებს. ქართული კანონის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ „*კანონპროექტი გერმანული სამართლისა და „ერთიანი მითითების“ თეორიის გათვალისწინებით, იზიარებს უკუ და შემდგომ მითითებას.*“⁶⁷ ამისგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, ევროპული⁶⁸ და ამერიკული⁶⁹ სამართალი რენვოს გამომრიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საქმეებში. რენვოსთან ერთად, ასევე, მოქმედებს მის მიმართ დადგენილი გამონაკლისებიც.

ქართულის მსგავსად, გერმანული კანონიც უსაფუძვლო გამდიდრების საქმეებისათვის კო-

⁶⁶ Restatement (Second) Conflict of Laws § 221, cmt. e (1971).

⁶⁷ სკს-ის განმარტებითი ბარათი, გვ. 432-ე.

⁶⁸ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law (2019) 643-652.

⁶⁹ Restatement (First) Conflict of Laws § 452-453 (1934); Restatement (Second) Conflict of Laws § 221, cmt. e (1971).

ნკრეტულად არ აწესრიგებს რენვოსის დოქტრინის გამოყენების საკითხს.⁷⁰ გერმანული კანონის განმარტებით ბარათში უსაფუძვლო გამდიდრების საქმეებში რენვოსის გამოყენებასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ კანონმდებელმა უარი განაცხადა რენვოსის პირდაპირ გამოორიცხვაზე, ამიტომ, მოქმედებს ერთიანი მითითების პრინციპი.⁷¹

შესაბამისად, სკს-ის 41-ე მუხლის მითითება არის ზოგადი მითითება, მათ შორის, ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ნორმებზეც.⁷² თუმცა, გერმანული სამართლის მსგავსად, ასევე მოქმედებს გამონაკლისებიც, რომლებიც თავად სკს-ის მე-4 მუხლშია აღნიშნული.⁷³

IV.3.3.2. გამონაკლისები ერთიანი მითითებისგან

ერთიანი მითითების წესიდან დადგენილია ოთხი გამონაკლისი. პირველი, სკს-ის 4 I ადგენს, რომ რენვოი არ გამოიყენება, თუკი ეს მითითების აზრს ეწინააღმდეგება. მეორე, სკს-ის 4 I მუხლი ასევე ადგენს, რომ რენვოი არ გამოიყენება, თუკი მითითება მხოლოდ მატერიალურ ნორმებს გულისხმობს. მესამე, სკს-ის 4 II მუხლის მიხედვით უკუმითითებისას ადგენს ქართული მატერიალური სამართლის გამოყენებას.⁷⁴ მეოთხე, სკს-ის 4 III საფუძველზე მხარეთა მიერ სამართლის არჩევისას რენვოი გამოორიცხება.⁷⁵ სკს-ის 4 III მუხლის თანახმად „თუ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი, ასეთი არჩევანი გულისხმობს მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.“ იმავე მიდგომას იზიარებს EGBGB 4 II მუხლის მეორე წინადადებაც.⁷⁶ გერმანულ სამართალში ეს დანაწესი, ასე-

ვე, ვრცელდება დაზარალებულის მიერ სამართლის არჩევაზეც EGBGB 40 I მუხლის შესაბამისად.⁷⁷

IV.3.4. რენვოი სკს-ის 41-ე მუხლში

IV.3.4.1. სკს-ის 41 I მუხლი: საფუძველად არსებული ურთიერთობა

გერმანული კანონის განმარტებითი ბარათი რენვოსისთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ „38 I მუხლის დამაკავშირებელი ფაქტორის შემთხვევაში უკუმითითება ან შემდგომი გადამისამართება „მითითების აზრის“ საფუძველზე გამოორიცხება (EGBGB 4 I 1 მუხლი).“⁷⁸ ეს მოსაზრება გაზიარებულია ლიტერატურაშიც.⁷⁹

როდესაც მხარეთა შორის არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა, განსაკუთრებით ხელშეკრულება, რომელსაც კავშირი აქვს უსაფუძვლო გამდიდრებასთან, რესტიტუციის მოთხოვნის მიმართ საფუძველად არსებული ურთიერთობის/ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის გამოყენებას ბევრი ქვეყანა ემხრობა. გერმანულ სამართალშიც, ბათილი ხელშეკრულებების უკუქცევის საქმეებში, რომლებიც რომის I რეგულაციის 12 I ე) და EGBGB ძველი რედაქციის 32 I 5 მუხლებით რეგულირდება, მითითება გულისხმობს მატერიალურ ნორმებზე მითითებას.⁸⁰ ამასთან, გერმანულ სამართალში არსებობს მჭიდრო კავშირის სპეციალური EGBGB 41 II 1 მუხლი, რომელიც მჭიდრო კავშირში მოიაზრებს, ასევე, მხარეთა შორის განსაკუთრებულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ ურთიერთობას. აქაც, მითითებაში იგულისხმება, მხოლოდ, მატერიალურ ნორმებზე მითითება, ვინაიდან ითვლება, რომ კოლიზიური ნორმების გამოყენება ეწინააღმდეგება მითითების

⁷⁰ BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 20.

⁷¹ BT-Drs. 14-343, 8.

⁷² MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 34; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 20.

⁷³ Id. 20.

⁷⁴ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 34.

⁷⁵ Id. 36.

⁷⁶ Id. 36.

⁷⁷ Id. 36; BT-Drs. 14-343, 8.

⁷⁸ BT-Drs. 14-343, 8; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 35.

⁷⁹ Id. 35.

⁸⁰ BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 20.

აზრს.⁸¹

შესაბამისად, თუკი გასაზიარებელია გერმანული მიდგომა, სკს-ის 41 I მუხლში მითითება გულისხმობს მატერიალურ სამართალზე მითითებას იმ დასაბუთებით, რომ კოლიზიური ნორმების გამოყენება სკს-ის 4 I მუხლის მიხედვით ენინააღმდეგება მითითების აზრს.

IV.3.4.2. სკს-ის 41 II მუხლი: ხელყოფის კონდიცია

გერმანული კანონის განმარტებითი ბარათი EGBGB 38-ე მუხლიდან მხოლოდ პირველ ნაწილს გამოყოფს და მასზე მიუთითებს, რომ „მითითების აზრის“ შესაბამისად რენვოი გამოირიცხება. თუმცა, დარჩენილ ნაწილებთან დაკავშირებით რენვოის გამოყენებას მხარს უჭერს და განმარტავს, რომ „დანარჩენ საქმეებში, ის მიზეზები, რომელთა გამოც სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევებში მითითება ხდება მხოლოდ მატერიალურ ნორმებზე (EGBGB 35 I) იმავე ფორმით არ არსებობს; შესაბამისად, არ არსებობს ძირითადი ნესისგან გადახვევის საპატიო მიზეზი.“ ეს მოსაზრება მხარდაჭერილია ლიტერატურაშიც.⁸²

შესაბამისად, სკს-ის 41 II მუხლში მითითება გულისხმობს ერთიან მითითებას, მათ შორის, სხვა ქვეყნის კოლიზიური სამართლის ნორმებსაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოსაყენებელი სამართალი ერთიან მითითებას ახდენს.

IV.3.4.3. სკს-ის 41 III მუხლი: სხვა სახის კონდიციები

როგორც აღინიშნა, გერმანული კანონის განმარტებითი ბარათი EGBGB 38 III მუხლთან მიმართებით რენვოის არ გამოირიცხავს. ეს მოსა-

ზრება მხარდაჭერილია ლიტერატურაშიც.⁸³ შესაბამისად, სკს 41 III მუხლში მითითება გულისხმობს ერთიან მითითებას, მათ შორის, სხვა ქვეყნის კოლიზიური სამართლის ნორმებსაც.

IV.4. სკს-ის 41 I მუხლი

სკს-ის 41 I მუხლი გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ისეთი მოთხოვნების მიმართ, რომელთა საფუძვლად არსებობს დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა. ასეთ დროს მოქმედებს საფუძვლად არსებული დაკავშირებული ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი. ამ მიდგომის უკან დგას მოსაზრება, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის არჩევისას აქცენტი უნდა გაკეთდეს არა ტერიტორიაზე, არამედ იმ ურთიერთობაზე, რომელმაც წარმოშვა ეს მოთხოვნა.⁸⁴

კოლიზიურ სამართალში საფუძვლად არსებული ურთიერთობის დამაკავშირებელი ფაქტორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.⁸⁵ თუკი უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა გამომდინარეობს უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, მაშინ კონდიქციურ მოთხოვნასაც ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი არეგულირებს.⁸⁶ როგორც აღინიშნა, გერმანული ანალოგისგან განსხვავებით, სკს-ის 41 I მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ შესრულების კონდიქციით. უსაფუძვლო გამდიდრებასა და სამართლებრივ ურთიერთობას შორის უნდა იყოს ახლო კავშირი; ამასთან, აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდეს, უშუალოდ, უსაფუძვლო გამდიდრების მხარეებს შორის.⁸⁷

საფუძვლად არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის გამოყენების დასაბუთება არის ის, რომ, როგორც

⁸¹ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 35; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 41 Rn. 12; BT-Drs. 14-343, 8.

⁸² BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 20.

⁸³ BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 20; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 34-37.

⁸⁴ Ernst Rabel, Conflict of Laws (1964) 380.

⁸⁵ Stephen Pitel, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations (2009) 239.

⁸⁶ Adeline Chong, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 Int. Comp. L. Q. 863, 876 (2008).

⁸⁷ Id. 877.

წესი, სწორედ ეს სამართალია უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული. ამასთან, საფუძვლად არსებული ხელშეკრულების სამართლის გამოყენების ერთ-ერთი არგუმენტი არის ისიც, რომ ეს შეესაბამება მხარეთა მოლოდინებს.⁸⁸

IV.4.1. საფუძვლად არსებული სამართლებრივი ურთიერთობა

IV.4.1.1. საფუძვლად არსებული ურთიერთობის მაგალითები

მხარეთა შორის ყველა ურთიერთობა არ წარმოადგენს „დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას“ უსაფუძვლო გამდიდრების კოლიზიური ნორმის მიზნებისათვის. რომის II რეგულაციის 10 I მუხლის ტექსტი ასახელებს ამგვარი ურთიერთობების მაგალითად სახელშეკრულებო და დელიქტურ ურთიერთობებს.⁸⁹ თუმცა, სახელშეკრულებო და დელიქტური ურთიერთობები მხოლოდ საილუსტრაციო მაგალითებია და მუხლი მოიცავს სხვა სახის ურთიერთობებსაც, როგორებიცაა წინასახელშეკრულებო ურთიერთობები⁹⁰ და ოჯახური ურთიერთობები,⁹¹ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება⁹² ან თანამესაკუთრება.⁹³

IV.4.1.2. მჭიდრო კავშირი

საფუძვლად არსებული ურთიერთობა მჭიდ-

რო კავშირში უნდა იყოს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნასთან. ასევე, მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს საფუძვლად არსებულ ურთიერთობასა და უსაფუძვლო გამდიდრებას შორის; ამგვარს ადგილი არ აქვს როდესაც რომელიმე მხარეს მოთხოვნა გადაეცა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის მოხდენის შემდგომ.⁹⁴ თუმცა, ამავდროულად, აუცილებელია მათ შორის გარკვეული დაცილებაც. კერძოდ, მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობა უნდა არსებობდეს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის წარმომშობი ქმედების განხორციელებამდე.⁹⁵ შედარებისათვის, რომის II რეგულაციის 4 III 2 მუხლი პირდაპირ მოითხოვს წინარე ურთიერთობის არსებობას.⁹⁶ მართალია მჭიდრო კავშირზე პირდაპირ მითითებას ქართული კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა ეს შინაარსობრივად გამომდინარეობს სკს-ის 41 I მუხლისგან.⁹⁷ კოლიზიური ნორმების მიზანია გამოიყენოს „საუკეთესო“ და საკითხთან/მხარეებთან „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული“ სამართალი. კოლიზიური სამართლის მიზანი არ არის გამოიყენოს საკითხთან აბსოლუტურად დაუკავშირებელი სამართალი. უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები, თუკი ის უკავშირდება საფუძვლად არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, როგორც წესი, ყველაზე მჭიდრო კავშირში, სწორედ, ამ სამართალთან არის. ამიტომ, ბევრი იურისდიქცია ამ წესს ითვალისწინებს და ამით თავიდან

⁸⁸ *Stephen Pitel*, *Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment*, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), *The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations* (2009) 243.

⁸⁹ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 293-294.

⁹⁰ *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), *European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation* (2019) 371.

⁹¹ *Richard Plender*, *Michael Wilderspin*, *The European Private International Law of Obligations* (2009) 705, 24-088.

⁹² თუმცა, იხ. განსხვავებული მოსაზრება: *Gralf-Peter Callies* (ed.), *Rome Regulations* (2011) 506-507.

⁹³ თუმცა, როდესაც საუბარია საფუძვლად არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამარ-

თალი და საფუძვლად არსებული ტრანზაქციის სხვადასხვა ელემენტების მომწესრიგებელი სამართალი. მაგალითად, უმნიშვნელოა კანონი, რომელიც არეგულირებს შესრულებისას საკუთრების უფლების გადაცემის საკითხებს. *MüKo-BGB/Junker*, 8. Aufl. 2021, *EGBGB Art. 38 Rn. 10*. ასევე, არ გამოიყენება ე. წ. „გამაუქმებელი კანონი“, რომელიც სხვადასხვა მიზეზით (მაგ. საგარეო ვაჭრობის აკრძალვა) ბათილად ცნობს ხელშეკრულებას, ასეთ დროსაც გამოიყენება ის სამართალი, რომელიც არეგულირებს ხელშეკრულებას. *Id.* 10.

⁹⁴ *Id.* 371.

⁹⁵ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 294.

⁹⁶ *Id.* 294.

⁹⁷ *Richard Plender*, *Michael Wilderspin*, *The European Private International Law of Obligations* (2009) 706, 24-092.

იცლებს *dépeçage*-ს, არეგულირებს რა მთლიან ურთიერთობას ერთი სამართალით.⁹⁸ ეს დასაბუთება აღარ იარსებებს, თუკი ურთიერთობა არ არის დაკავშირებული უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნასთან. სკს-ის 41 I მუხლის ტექსტიდანაც ჩანს ეს მიზანი, ვინაიდან „ქმედება“, რომელმაც წარმოშვა უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა უნდა „უკავშირდებოდეს“ მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობას.

IV.4.1.3. ფაქტობრივი კავშირი

არასაკმარისია უბრალოდ, ფაქტობრივი კავშირი, ვინაიდან არ არსებობს ასეთი ფაქტობრივი კავშირის „მარეგულირებელი სამართალი.“⁹⁹ ასეთი ურთიერთობა არ არსებობს, მაგალითად, როდესაც შესრულება შეცდომით ხდება არასწორი ადრესატის მიმართ, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შესრულებული ვალდებულების სამართალი.¹⁰⁰ თავისთავად ის ფაქტი, რომ ვალდებულება შესრულდა, არ წარმოადგენს „სამართლებრივ ურთიერთობას“ მესამე პირსა და მოვალეს შორის ურთიერთობის მიზნებისათვის.¹⁰¹ იგივე ითქმის მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობაზეც.¹⁰²

IV.4.1.4. საფუძვლად არსებული ურთიერთობის ნამდვილობა / ბათილობა

როგორც წესი, უმნიშვნელოა საფუძვლად არსებული ურთიერთობა ნამდვილია თუ ბათილი – საკმარისია მხარეების წარმოდგენა ამგვარი ურთიერთობის არსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, უსაფუძვლო გამდიდრება მხოლოდ თანხის ზედმეტად გადახდის

საქმეებში იქნებოდა გამოსაყენებელი.¹⁰³ ურთიერთობა აუცილებელია არსებობდეს, უშუალოდ, უსაფუძვლო გამდიდრების მხარეებს შორის.¹⁰⁴

IV.4.2. ხელშეკრულების ბათილობის შედეგები

ქართველმა კანონმდებელმა გაიზიარა ევროპული სამართლის მიდგომა და ისეთი რესტიტუციური მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს ბათილი ხელშეკრულებიდან, მოაწესრიგა არა უსაფუძვლო გამდიდრების, არამედ სახელშეკრულებო სამართლის კოლიზიური ნორმებით.¹⁰⁵

IV.4.2.1. ევროპული სამართალი

IV.4.2.1.1. რომის კონვენცია

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი	რომის კონვენცია
35 I მუხლი: სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალით.	10 I მუხლი: ამ კონვენციის მე-3-6 და მე-12 მუხლების შესაბამისად, ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი არეგულირებს კონკრეტულად შემდეგ საკითხებს: (a) ინტერპრეტაცია; (b) შესრულება; (c) სასამართლოსათვის საკუთარი საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დარღვევის შედეგები, მათ შორის ზიანის ანგარიში იმდენად, რამდენადაც იგი რეგულირებულია მატერიალური სამართლის

⁹⁸ *Graff-Peter Calliess* (ed.), *Rome Regulations* (2011) 499, 4.
⁹⁹ *Peter Huber* (ed.), *Rome II Regulation* (2011) 294; *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), *European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation* (2019) 371.
¹⁰⁰ *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), *European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation* (2019) 387.
¹⁰¹ *Graff-Peter Calliess* (ed.), *Rome Regulations* (2011) 507.
¹⁰² *Id.* 507.

¹⁰³ *Ulrich Magnus* (ed.), *Peter Mankowski* (ed.), *European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation* (2019) 370.
¹⁰⁴ *Id.* 371.
¹⁰⁵ *Stephen Pitel*, *Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment*, in *John Ahern* (ed.), *William Binchy* (ed.), *The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations* (2009) 240; *Richard Plender, Michael Wilderspin*, *The European Private International Law of Obligations* (2009) 682, 24-010; *Graff-Peter Calliess* (ed.), *Rome Regulations* (2011) 500, 8.

ნორმებით; (d) ვალდებულების შეწყვეტის სხვა და სხვა გზები და მოთხოვნების ხანდაზმულობა და პრესკრიფცია; (e) ხელშეკრულების ბათილობის შედეგები.

1980 წლის რომის კონვენცია „სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“¹⁰⁶ უსაფუძვლო გამდიდრების საკითხებს დამოუკიდებლად არ აწესრიგებს, ვინაიდან კონვენცია შეეხება სახელშეკრულებო ვალდებულებებს. თუმცა, რომის კონვენციის 10 I ე) მუხლის თანახმად „ამ კონვენციის მე-3-6 და მე-12 მუხლების საფუძველზე ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი არეგულირებს, კონკრეტულად, ხელშეკრულების ბათილობის შედეგებს.“

კონვენციის განმარტებით ანგარიშში მითითებულია, რომ „ე) ქვეპუნქტი, ასევე, ხელშეკრულების ბათილობის შედეგებს უქვემდებარებს გამოსაყენებელ სამართალს. სამუშაო ჯგუფის ძირითადი მიზანი ამ დანაწესის შემუშავებისას იყო თანხის უკან დაბრუნება, რაც მხარეთა ვალდებულებათა ხელშეკრულების ბათილობის შემდგომ, დაერეგულირებინა გამოსაყენებელი სამართალი. ზოგიერთმა დელეგაციამ გამოხატა პროტესტი ამ მიდგომის მიმართ იმ საფუძველით, რომ მათი სამართლის სისტემების შესაბამისად ხელშეკრულების ბათილობის შედეგები არასახელშეკრულებო ბუნებისაა. დელეგაციათა უმრავლესობამ მაინც განაცხადა, რომ ისინი მხარს უჭერენ ბათილობის შედეგების სახელშეკრულებო სამართლის სფეროში მოთავსებას, თუმცა რათა გათვალისწინებული იყო გამოთქმული უკმაყოფილება, შემუშავდა დანაწესი, რომელიც წევრ ქვეყნებს უფლებას ანიჭებს რეზერვაცია გააკეთონ ამ დებულებასთან დაკავშირებით (22 I ბ).“¹⁰⁷

სკს-ის განმარტებითი ბარათი მიუთითებს, რომ 1980 წლის რომის კონვენციის „ნორმების თითქმის უცვლელად არის გადატანილი პროექტის 27-31 და 35-38-ე მუხლებში.“¹⁰⁸ რომის კონვენციის მოქმედება ვრცელდება სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. ქართული კანონი არ არის რომის კონვენციის იდენტური, თუმცა სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის მოქმედების ფარგლები ორივე შემთხვევაში მოიცავს ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევებს. მუხლების შედარებისას ცხადი ხდება მათ შორის შინაარსობრივი მსგავსება:

რომის კონვენციის 10 I ე) მუხლის თანახმად „ამ კონვენციის მე-3-6 და მე-12 მუხლების შესაბამისად გამოსაყენებელი სამართალი არეგულირებს, კონკრეტულად: ხელშეკრულების ბათილობის შედეგებს.“ ანალოგიურად, სკს-ის 35 I მუხლის თანახმად „სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ ... ბათილობის შედეგები ... წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალით.“

ეს განსხვავება შენარჩუნებულია თანამედროვე ევროპულ კოლიზიურ სამართალშიც, სადაც რომის I რეგულაციის 12 ე) მუხლი არეგულირებს ხელშეკრულების ბათილობის შედეგებს, ხოლო რომის II რეგულაციის მე-10 მუხლი არეგულირებს ყველა სხვა სახის უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევებს. აღნიშნულ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, როდესაც მესამე პირი ასრულებს ვალდებულებას ისე, რომ საფუძველად არსებული ხელშეკრულება ბათილია, მაშინ ვითომ-კრედიტორის მიმართ მესამე პირის მოთხოვნასთან მიმართებით გამოიყენება რომის I რეგულაციის 12 I ე) მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა.¹⁰⁹

¹⁰⁶ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX%3A41998A0126%2802%29>.

¹⁰⁷ Mario Giuliano, Paul Lagarde, Report on the Convention on the law applicable to contractual obligations (1980) 33.

¹⁰⁸ სკს-ის განმარტებითი ბარათი, გვ. 431-ე.

¹⁰⁹ Graf-Peter Calliess (ed.), Rome Regulations 506 (2011). ავტორი, ასევე, მიუთითებს რომის II რეგულაციის 27-ე

მუხლზე, რომლის მიხედვითაც „ეს რეგულაცია არ გამოიცხავს გაერთიანების სამართლის იმ დანაწესების მოქმედებას, რომლებიც, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, აწესებს კოლიზიურ-სამართლებრივ ნორმებს არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით.“ მათ შორის, ცხადია, გაერთიანების სამართალში მოიაზრება, ასევე, რომის I რეგულაცია.

IV.4.2.1.2. რომის I და II რეგულაციები

რომის კონვენციის ეს მიდგომა ევროპელმა კანონმდებელმა გაიზიარა რომის I და II რეგულაციებშიც. კერძოდ, როგორც აღინიშნა რომის II რეგულაცია არის არასახელმწიფოებო ვალდებულებების მარეგულირებელი ინსტრუმენტი, რომელიც უსაფუძვლო გამდიდრებას მე-10 მუხლში ანესრიგებს. იგი არ ეხება ბათილი ხელშეკრულების შემთხვევებს, ვინაიდან ეს საკითხი სპეციალურად მოწესრიგებულია რომის I რეგულაციის 12 I ე) მუხლში. რომის კონვენციის მსგავსად რომის I რეგულაციის 12 I ე) მუხლი ხელშეკრულების ბათილობის შედეგებს უქვემდებარებს ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელ სამართალს. მუხლის თანახმად „ამ რეგულაციის შესაბამისად ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, კონკრეტულად, არეგულირებს ხელშეკრულების ბათილობის შედეგებს.“¹¹⁰

ორივე მუხლი დამაკავშირებელი ფაქტორით ერთმანეთს ემთხვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუნდაც, რომის II რეგულაციის მე-10 მუხლით მოხდეს ბათილი ხელშეკრულებების შედეგების რეგულირება, მაინც გამოსაყენებელი იქნება საფუძვლად არსებული ურთიერთობის, ანუ ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართალი.¹¹¹ თუმცა, განსხვავება შინაარსობრივია. მაგალითად, თანხის ზედმეტად გადახდის საქმეებში, სადაც სახეზეა ნამდვილი ხელშეკრულება, კვლავ გამოიყენება რომის II რეგულაციის მე-10 მუხლი.¹¹² ასევე, რომის II რეგულაცია გამოიყენება ცალმხრივი ბათილი გარიგებების უკუქცევისას, ვინაიდან ის არ წარმოადგენს ხელშეკრულებებს რომის I რეგულაციის 1 I მუხლის მიზნებისათვის.¹¹³

IV.4.2.2. EGBGB 38-ე მუხლი

მსგავსი მონესრიგება იყო გერმანულ სამართალშიც 2009 წლამდე, როდესაც მოქმედებდა

EGBGB 32-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა ხელშეკრულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის მოქმედების ფარგლებს. EGBGB 32 I 5 მუხლის თანახმად ამაში მოიაზრებოდა, ასევე, ხელშეკრულების ბათილობის შედეგებიც. თუმცა, დღეს ეს მუხლი გერმანიაში გაუქმებულია და გამოიყენება, მხოლოდ, ძველი საქმეებისათვის.¹¹⁴ ამასთან, საინტერესოა, რომ გერმანული სამართალიც ამ ნაწილში რომის კონვენციის გავლენას განიცდიდა, ვინაიდან EGBGB 36-ე მუხლი ადგენდა, რომ „ამ თავის შესაბამისად სახელმწიფოებო ვალდებულებების მიმართ გათვალისწინებული წესების გამოყენებისა და განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ მათ საფუძვლად არსებული 1980 წლის 19 ივნისის კონვენციის წესები ნევრ სახელმწიფოებში უნიფიცირებულად უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული.“

IV.4.2.3. სკს-ის 41-ე და 35-36-ე მუხლები

ხელშეკრულების ბათილობის შედეგები სკს 35 I მუხლის საფუძველზე წესრიგდება ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლით. მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება ევროპის კავშირის წევრი ქვეყანა, რომის I რეგულაციის 12 I ე) მუხლი თავისი მოქმედების ფარგლებში ჩაანაცვლებს სკს-ის 35-36-ე მუხლებს. იგივე ითქმის რომის II რეგულაციაზეც, რომლის მე-10 მუხლიც ჩაანაცვლებს სკს-ის 41-ე მუხლს.¹¹⁵ ევროპული სამართლის მოქმედების ფარგლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, თავად ევროპული სამართალი შეიცავს მისი გამოყენების შემზღუდავ ნორმებს. მაგალითად, რომის I რეგულაციის 1 II მუხლი მოქმედების ფარგლებიდან გამორიცხავს რიგ საკითხებს, რაც კვლავ აქტუალურს გახდის სკს-ის გამოყენებას.¹¹⁶

¹¹⁰ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 2.

¹¹¹ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 368.

¹¹² Id. 373.

¹¹³ Id. 373.

¹¹⁴ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 8.

¹¹⁵ BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 7.

¹¹⁶ Id. 7.

IV.4.3. კავშირი ერთზე მეტ სამართლებრივ ურთიერთობასთან

ლიტერატურაში გამოკვეთილია პრობლემატური შემთხვევა, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნას ერთზე მეტ სამართლებრივ ურთიერთობასთან აქვს კავშირი. მაგალითად, A-მ არსებული ვალდებულების საფუძველზე B-ს გადაუხადა თანხა ზედმეტობით. თუმცა, ვალდებულება ეფუძნებოდა როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ და უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნებს. ასეთ დროს, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს კოლიზიური ნორმის მოქმედება ვრცელდება თუ არა ამგვარ შემთხვევებზე.

მაგალითად, რომის II რეგულაციის 10 I მუხლი ასახელებს ურთიერთობას მხოლოდ რიცხვში, რასაც ზოგიერთი კომენტატორი განმარტავს იმგვარად, რომ რამდენიმე ურთიერთობასთან დაკავშირებული უსაფუძვლო გამდიდრებისას 10 I მუხლი საერთოდ არ გამოიყენება.¹¹⁷ თუმცა, პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება არის ერთი დომინანტი ურთიერთობის გამოკვეთა და რესტიტუციის მოთხოვნაზე მისი მარეგულირებელი სამართლის გამოყენება.¹¹⁸

სკს-ის 41 I მუხლი, ერთი მხრივ, ახსენებს „პრეტენზიების წარმომშობ ქმედებას“, ხოლო, მეორე მხრივ, საუბრობს მასთან „დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე.“ შესაბამისად, ალბათ, ყველაზე პრაქტიკული და მარტივი გადაწყვეტაა სასამართლომ დაადგინოს ერთი ყველაზე დომინანტი ურთიერთობა და მისი მომწესრიგებელი სამართლით დაარეგულიროს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნაც.¹¹⁹

IV.4.4. პირთა სიმრავლე ურთიერთობაში

IV.4.4.1. სპეციალური მონესრიგება

როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების ურთიერთობაში ორზე მეტი პირია ჩართული, ნამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სამართლით რეგულირდება მხარეთა მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ.¹²⁰ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი სპეციალურად არ აწესრიგებს ასეთ შემთხვევებს, თუმცა, ამგვარ სპეციალურ ნორმებს არც გერმანული,¹²¹ ევროპული¹²² და ამერიკული სამართალი ითვალისწინებს. ქართველმა კანონმდებელმა, ევროპული და ამერიკული იურისდიქციების მსგავსად, სკს-ის 41-ე მუხლის არსებული ფორმულირება საკმარისად მიიჩნია უსაფუძვლო გამდიდრების კომპლექსური საკითხების გადასაჭრელად.¹²³ ამასთან, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც კონკრეტული სპეციფიკური შემთხვევები გადატვირთავდა მუხლს.¹²⁴ შესაბამისად, სასამართლომ სკს-ის 41-ე მუხლის ფარგლებში, კოლიზიური პრინციპების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი.¹²⁵

IV.4.4.2. Dépeçage

პროცესის ეკონომიკურობისა და სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპებიდან გამომდინარე უპირატესობა უნდა მიენიჭოს მთლიანი ურთიერთობის მიმართ ერთი სამართლის გამოყენებას, ნაცვლად იმისა, რომ ურთიერთობა გაიხლიჩოს რამდენიმე სხვადასხვა სამართლით რეგულირებულ ნაწილებად.¹²⁶ მაგალითად, რომის II რეგულაციის 10 I მუხლი უსაფუძვლო გა-

¹¹⁷ Peter Huber (ed.), Rome II Regulation (2011) 295.

¹¹⁸ Id. 295; Richard Plender, Michael Wilderspin, The European Private International Law of Obligations (2009) 705, 24-090.

¹¹⁹ Peter Huber (ed.), Rome II Regulation (2011) 295.

¹²⁰ Id. 299.

¹²¹ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 12.

¹²² Graf-Peter Callies (ed.), Rome Regulations 506 (2011); HK-BGB/Heinrich Dörner, 11. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 3.

¹²³ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 12; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 384.

¹²⁴ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 384.

¹²⁵ Peter Huber (ed.), Rome II Regulation (2011) 299-100.

¹²⁶ Id. 299-300.

მდიდრების მოთხოვნებს უქვემდებარებს საფუძვლად არსებული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართალს, რითიც მიზნად ისახავს მთლიანი ურთიერთობის ერთი სამართლით მონესრიგებას და *dépeçage*-ს გამორიცხვას.¹²⁷ თუმცა, რა თქმა უნდა, თეორიულად, დასაშვებია *dépeçage*-ც, როდესაც მოთხოვნები სხვადასხვა სამართლით რეგულირდება.¹²⁸

IV.4.4.3. საფუძვლად არსებული ურთიერთობა

ზოგადი პრინციპის თანახმად, თუკი გამდიდრება უკავშირდება მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ გამოიყენება დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართალი,¹²⁹ სხვა შემთხვევაში გამოიყენება არა-შესრულების კონდიქციის მარეგულირებელი სამართალი.¹³⁰ აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი ამ შედეგის მიღწევა ვერ ხერხდება უსაფუძვლო გამდიდრების სპეციალური კოლიზიური ნორმით (როგორებიცაა EGBGB 38 I და რომის II რეგულაციის 10 I მუხლები), მაშინ როგორც გერმანული, ისე ევროპული სამართალი მხარს უჭერს იგივე შედეგის მიღწევას დამცავი ნორმების საფუძველზე (როგორებიცაა EGBGB 41-ე და რომის II რეგულაციის 10 IV მუხლები).¹³¹ ქართულ სამართალში არ არსებობს ზოგადი ხასიათის საგამონაკლისო

ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთობის მონესრიგებას „ყველაზე უფრო მჭიდროდ“ დაკავშირებული სამართლით.¹³²

IV.4.4.4. კონკრეტული შემთხვევები

IV.4.4.4.1. თავდებობა

თავდებობისას შესრულება ეფუძნება კრედიტორის მიმართ არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებას.¹³³ შესაბამისად, რესტიტუციური მოთხოვნები თავდებსა და კრედიტორს შორის ამავე ხელშეკრულების მომნესრიგებელი სამართლით რეგულირდება.¹³⁴ ამავე ლოგიკით, რესტიტუციური მოთხოვნები თავდებსა და მოვალეს შორის რეგულირდება მათ შორის არსებული ურთიერთობის მომნესრიგებელი სამართლით.¹³⁵

IV.4.4.4.2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

მესამე პირების სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებში, მოვალის რესტიტუციური მოთხოვნები კრედიტორისა და ბენეფიციარი მესამე პირის მიმართ რეგულირდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დეფექტური ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლით.¹³⁶ ამავე ხელშეკრულების სამართალს ექ-

¹²⁷ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 368-369.

¹²⁸ Id. 384.

¹²⁹ HK-BGB/Heinrich Dörner, 11. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 7; BeckOK BGB/Spickhoff, 67. Ed. 1.8.2023, VO (EG) 864/2007 Art. 10 Rn. 7; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 12; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 12.

¹³⁰ BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 13; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 12.

¹³¹ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 13; Graft-Peter Calliess (ed.), Rome Regulations 507 (2011); MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 22; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385.

¹³² Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385.

¹³³ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 14.

¹³⁴ Id. 14; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 386, 68.

¹³⁵ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 14; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 386, 68.

¹³⁶ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 16. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ რომის რეგულაციების მიზნებისათვის, ვინაიდან საუბარია საფუძვლად არსებულ ბათილ ხელშეკრულებაზე, გამოიყენება არა რომის II რეგულაციის მე-10, არამედ რომის I რეგულაციის 12 I ე) მუხლი. Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 384, 68.

ვემდებარება ზედმეტად შესრულების შემთხვევებით.¹³⁷ ასევე, აქ მოიაზრება საკითხი თუ ვის უნდა წარუდგინოს პირმა მოთხოვნა: კრედიტორს თუ მესამე პირს, რომლის სასარგებლოდაც დაიდო ხელშეკრულება.¹³⁸ მეორე მხრივ, მოთხოვნები კრედიტორსა და ბენეფიციარ მესამე პირს შორის რეგულირდება მათ შორის არსებული შეთანხმების მარეგულირებელი სამართლით.¹³⁹

IV.4.4.4.3. დავალება

დავალების საქმეებშიც გამოიყენება ის სამართალი, რომელიც არეგულირებს საფუძვლად არსებულ დეფექტურ სამართალურთიერთობას.¹⁴⁰ დავალების მიმღების რესტიტუციური მოთხოვნები დავალების გამცემის მიმართ რეგულირდება მათ შორის არსებული ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლით.¹⁴¹ დავალების მიმცემი პირის კონდიქციური მოთხოვნებიც მესამე პირის მიმართ ეფუძნება ამავე სამართალს.¹⁴² როცა არ არსებობს ცალკე სამართლებრივი ურთიერთობა დავალების მიმღებსა და მესამე პირს შორის, საკამათოა თუ რომელი სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული დავალების მიმღები პირის მოთხოვნების მიმართ მესამე პირისადმი.¹⁴³ ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად გამოყენებული უნდა იქნეს მესამე პირსა და დავალების მიმცემს შორის არსებული ურთიერთობის მარეგულირებელი სამართალი, რათა არ შეიღახოს მესამე პირის უფლებები იმ სამართლის გამოყენებით, რომელიც არეგულირებს მესამე პირისათვის უცნობ ურთიერთობას დავალების მიმცემსა და დავალების მიმღებს შორის.¹⁴⁴ თუმცა, მეორე მხრივ, მესამე პირმა

იცის, რომ მისდამი შესრულება ეფუძნება დავალების მიმცემსა და მიმღებს შორის არსებულ შეთანხმებას, შესაბამისად, ამ სამართლის გამოყენებით იგი არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ვარდება.¹⁴⁵ დაკავშირება დავალების მიმცემსა და მიმღებს შორის მოქმედ სამართალთან წინასწარ ვარაუდობს, რომ მესამე პირისათვის გადახდა არის დავალების მიმღები პირის მხრიდან შესრულება, რაც სახეზე არ გვაქვს, როდესაც საუბარია არასწორად შესრულებულ დავალებაზე.¹⁴⁶ ასეთ დროს, სახეზეა, შეუსრულებლობის კონდიქცია და EGBGB 38 III მუხლის შესაბამისად მხედველობაში მიიღება გამდიდრებაც, ანუ გამოიყენება იმ ადგილის სამართალი, სადაც მესამე პირმა მიიღო შესრულება.¹⁴⁷

თუკი საბანკო ტრანზაქციისას მოხდა შეცდომა და მიმღებმა მიიღო ბანკის მიერ განსაზღვრულზე მეტი თანხა, მაშინ ბანკის მოთხოვნა თანხის მიმღების მიმართ სკს-ის 41 III მუხლის შესაბამისად დარეგულირდება მიმღები ქვეყნის სამართლით; არ გამოიყენება ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ან კლიენტსა და თანხის მიმღებს შორის არსებული ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი.¹⁴⁸

IV.4.4.4.4. ცესია

ცესიის შემთხვევებში რესტიტუციური მოთხოვნები მოვალესა და მოთხოვნის გადამცემს / მიმღებს შორის რეგულირდება გადამცემული მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლით (მაგალითად, თუკი მოთხოვნის გადამცემსა და მოვალეს შორის არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლისგან გამომდინარე მოთხოვნაც

¹³⁷ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 384.

¹³⁸ Id. 384.

¹³⁹ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 16.

¹⁴⁰ Id. 17.

¹⁴¹ Id. 17; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385. იგივე მიდგომაა გატარებული რომის I რეგულაციის მე-15 და რომის II რეგულაციის მე-19 მუხლებში. Gralf-Peter Calliess (ed.), Rome

Regulations 507 (2011); Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 387.

¹⁴² MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 17.

¹⁴³ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 18.

¹⁴⁴ Id. 18.

¹⁴⁵ Id. 18.

¹⁴⁶ Id. 18.

¹⁴⁷ Id. 18.

¹⁴⁸ BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 14.

გადაეცა მიმღებს).¹⁴⁹ თუმცა, რესტიტუციური მოთხოვნები მოთხოვნის გადამცემსა და მიმღებს შორის რეგულირდება მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლით და არა გადაცემული მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლით.¹⁵⁰

IV.4.4.4.5. სხვისი ვალის გადახდა

როდესაც პირი შეასრულებს სხვის არარსებულ ვალდებულებას, მისი რესტიტუციური მოთხოვნები ვითომ-კრედიტორის მიმართ ექვემდებარება მათ შორის არსებული ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართალს.¹⁵¹ ეს ეხება, ასევე, შემთხვევებს, როდესაც პირი ვალდებულებას ასრულებს ისე, რომ ეს თავისად მიაჩნია.¹⁵² მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნები ექვემდებარება

შესრულებული (არსებული ან არარსებული) ვალდებულების მომწესრიგებელ სამართალს.¹⁵³ ქართულ სამართალში, სკს-ის 41 III მუხლის შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს გამდიდრების ადგილის სამართალი.¹⁵⁴

რაც შეეხება გამოსაყენებელი სამართლის მოქმედების ფარგლებს, შესრულებული ვალდებულების მარეგულირებელი სამართალი განსაზღვრავს ყველა სამართლებრივ შედეგს, რაც თან სდევს სხვისი ვალის გასტუმრებას.¹⁵⁵ მათ შორის, ეს ეხება მესამე პირის მოთხოვნებს მოვალის მიმართ,¹⁵⁶ მოვალის შესაგებელს,¹⁵⁷ ისევე, როგორც მესამე პირის მოთხოვნებს კრედიტორის მიმართ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება არარსებული ვალდებულების შესრულება, რის გამოც მიმღებმა ვითომ-კრედიტორმა უკან უნდა დააბრუნოს მიღებული შესრულება.¹⁵⁸ საკითხი იმის შესახებ შესრულდა თუ არა ვალდებულება, რეგულირდება თავად ამ ვალდებულების მარეგულირებელი სამართლით.¹⁵⁹

¹⁴⁹ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385, 64; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 15.

¹⁵⁰ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385, 64.

¹⁵¹ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 22; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 13; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385.

¹⁵² Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385.

¹⁵³ BeckOK BGB/Spickhoff, 67. Ed. 1.8.2023, EGBGB Art. 38 Rn. 15; MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 13; Gralf-Peter Calliess (ed.), Rome Regulations 507 (2011); BeckOK BGB/Spickhoff, 67. Ed. 1.8.2023, VO (EG) 864/2007 Art. 10 Rn. 7; Gralf-Peter Calliess (ed.), Rome Regulations 507 (2011); MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, Rom II-VO Art. 10 Rn. 22; BeckOK BGB/Spickhoff, 67. Ed. 1.8.2023, VO (EG) 864/2007 Art. 10 Rn. 7; BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 16.

¹⁵⁴ Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385.

¹⁵⁵ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 13.

¹⁵⁶ BeckOK BGB/Spickhoff, 67. Ed. 1.8.2023, EGBGB Art. 38 Rn. 15; BeckOK BGB/Spickhoff, 67. Ed. 1.8.2023, VO (EG) 864/2007 Art. 10 Rn. 7.

¹⁵⁷ BeckOK BGB/Spickhoff, 65. Ed. 1.2.2023, EGBGB Art. 38 Rn. 15.

¹⁵⁸ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 13; BeckOK BGB/Spickhoff, 67. Ed. 1.8.2023, EGBGB Art. 38 Rn. 15.

¹⁵⁹ Gralf-Peter Calliess (ed.), Rome Regulations (2011) 506. მესამე პირის მიერ სხვისი ვალის გადახდისას, როგორც ნესი, ნამოიჭრება სამართლებრივი სუბროგაციის (legal subrogation) საკითხი. რომის რეგულაციები მათ დამოუკიდებლად აწესრიგებს რომის I რეგულაციის მე-15 და რომის II რეგულაციის მე-19 მუხლებით. Gralf-Peter Calliess (ed.), Rome Regulations (2011) 506; Ulrich Magnus (ed.), Peter Mankowski (ed.), European Commentaries on Private International Law: Rome II Regulation (2019) 385. ორივე მუხლი შეეხება სუბროგაციას. რომის I რეგულაციის მე-15 მუხლის თანახმად [სათაური „სამართლებრივი სუბროგაცია“] „როდესაც პირს (კრედიტორი) აქვს სახელმწიფოებო მოთხოვნა სხვა პირის მიმართ (მოვალე) და მესამე პირს აქვს ვალდებულება დააკმაყოფილოს კრედიტორი, ან მან ფაქტობრივად დააკმაყოფილა კრედიტორი ამ ვალდებულების შესრულებით, სამართალმა, რომელიც არეგულირებს მესამე პირის ვალდებულებას დააკმაყოფილოს კრედიტორი, უნდა განსაზღვროს მესამე პირი უფლებამოსილია თუ არა და რა ფარგლებში, განახორციელოს ის უფლებები მოვალის მიმართ, რომელიც კრედიტორს გააჩნდა მოვალის მიმართ მათ შორის არსებული ურთიერთობის

IV.5. სკს-ის 41 II მუხლი

სკს-ის 41 II მუხლის თანახმად „უცხო ქვეყნის სამართლით დაცული სიკეთის ხელყოფის გზით უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ეს ხელყოფა მოხდა.“ ქართველმა კანონმდებელმა, გერმანიის მსგავსად, ცალკე გამოყო ხელყოფის კონდიქციის შემთხვევები.¹⁶⁰ მუხლის თანახმად, ხელყოფის კონდიქციისას გადამწყვეტია არა დარღვეული სიკეთის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, არამედ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ხელყოფა მოხდა.¹⁶¹ პრაქტიკაში უმრავლეს შემთხვევაში ქონების ხელყოფისა და თავად ამ ქონების განლაგების ადგილები ერთმანეთს ემთხვევა.¹⁶²

ზოგიერთი ავტორი ხელყოფის კონდიქციის შემთხვევების დელიქტური (ნაცვლად უსაფუძვლო გამდიდრებისა) სამართლით მოწესრიგებას ემხრობა.¹⁶³ აღნიშნულს, ძირითადად, ასაბუთებენ შემდეგნაირად, რომ მოთხოვნის საფუძველს ქმნის ხელყოფა და თავად ის ფაქტი, რომ მოთხოვნა გამდიდრების უკუქცევას შეეხება (ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისა) მეორეხარისხოვანია.¹⁶⁴ თუმცა, ინგლისურ პრაქტიკაშიც კი ხელყოფის გარკვეული შემთხვევები უსაფუძვლო გამდიდრების წესებით რეგულირდება.¹⁶⁵

IV.6. სკს-ის 41 III მუხლი

სკს-ის 41 III მუხლის თანახმად „სხვა შემთხ-

ვევებში უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გამდიდრების შედეგები დადგა.“ როგორც აღინიშნა, სიტყვები „სადაც გამდიდრების შედეგები დადგა“, არსებითად იგივეა, რაც სიტყვები „სადაც გამდიდრება მოხდა.“ ამიტომ, ეს მუხლი EGBGB 38 III მუხლის მსგავსია. გერმანული და ქართული ნორმები ემთხვევა დამაკავშირებელი ფაქტორითაც: გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც გამდიდრება მოხდა. აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართლო პრაქტიკის მიხედვითაც ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტია გამდიდრების ადგილის სამართალი.¹⁶⁶

IV.6.1. დამცავი ნორმა

სკს-ის 41 III მუხლი ნარმოადგენს, ერთგვარ, დამცავ ნორმას, რომელიც მოიცავს უსაფუძვლო გამდიდრების ყველა სხვა შემთხვევას, რაც ვერ თავსდება პირველ და მეორე ნაწილებში.¹⁶⁷ მაგალითად, შეცდომით თანხის გადახდა კრედიტორის ნაცვლად მესამე პირისათვის, ასევე, მესამე პირის ქონების ისეთი გამოყენება, რომელიც ვერ თავსდება სკს-ის 41 II მუხლში.¹⁶⁸

IV.6.2. ქმედების vs გამდიდრების სამართალი

შედარებისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამდიდრების ადგილის სამართლის გამოყენება

მომწესრიგებელი სამართლის მიხედვით.“ თითქმის იდენტური ტექსტი აქვს რომის II რეგულაციის მე-19 მუხლს [სათაური „სუბროგაცია“], თუმცა იმ განსხვავებით, რომ მასში საუბარია კრედიტორის არა-სახელშეკრულებო მოთხოვნაზე მოვალის მიმართ, ნაცვლად რომის I რეგულაციის მე-15 მუხლში მითითებული სახელშეკრულებო მოთხოვნისა.

¹⁶⁰ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 20.

¹⁶¹ Id. 21.

¹⁶² Id. 22.

¹⁶³ აღნიშნული სკეპტიციზმი უსაფუძვლო გამდიდრების მიმართ მხოლოდ მისი კოლიზიურ-სამართლებრივი მონესრიგებით არ შემოიფარგლება; ავტორთა ნაწილი საერთოდ უარყოფს უსაფუძვლო გამდიდრებას, როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს. *Steve Hedley, Unjust Enrichment as the Basis of Restitution - An*

Overworked Concept, 5 *Legal Stud.* 56 (1985); *Steve Hedley, Contract, Tort and Restitution: Or, on Cutting the Legal System Down to Size*, 8 *Legal Stud.* 137 (1988); *Paolo Gallo, Unjust Enrichment: A Comparative Analysis*, 40 *Am. J. Comp. L.* 431 (1992). იხ. ციტირება: *Stephen Pitel, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment*, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), *The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations* (2009) 236.

¹⁶⁴ *Adeline Chong, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation*, 57 *Int. Comp. L. Q.* 863, 892 (2008).

¹⁶⁵ Id. 892.

¹⁶⁶ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 24.

¹⁶⁷ MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 24.

¹⁶⁸ Id. 24.

ერთადერთი ვარიანტი არ არის და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების წარმომშობი ქმედების განხორციელების ადგილის სამართალიც.¹⁶⁹ სხვა დამაკავშირებელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მხარეთა საერთო საცხოვრებელი ადგილი, ან ადგილი, სადაც რესტიტუცია უნდა განხორციელდეს, ასევე, *lex fori*.¹⁷⁰

IV.6.2.1. ტერიტორიული მიდგომა

ტერიტორიული მიდგომა კოლიზიურ სამართალში ყოველთვის პოპულარული იყო, განსაკუთრებით დელიქტურ სამართალში. ეს მიდგომა ეფუძნება მოპოვებული უფლების (*vested rights*) თეორიას.¹⁷¹ ამ თეორიის საყოველთაო უკუგდება ტერიტორიული მიდგომის რელევანტურობაც შეამცირა, თუმცა უსაფუძვლო გამდიდრების საქმეებში ორი ადგილი მაინც რელევანტური რჩება: ადგილი, სადაც განხორციელდა ქმედება, რომელმაც წარმოშვა უსაფუძვლო გამდიდრება და ადგილი, სადაც გამდიდრება მოხდა.¹⁷²

IV.6.2.2. რომის II რეგულაციის გამოცდილება

ეს საკითხი საკამათო იყო რომის II რეგულაციის შემუშავებისას. ძირითადი არგუმენტი გამდიდრების ადგილის საწინააღმდეგოდ იყო ის,

რომ იგი შეიძლება სრულიად შემთხვევით აირჩეს და არ ჰქონდეს კავშირი უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნასთან.¹⁷³ თავდაპირველად, ევროპარლამენტი მხარს უჭერდა ქმედების ადგილის სამართლის გამოყენებას.¹⁷⁴ გამდიდრების ადგილის სამართლის არჩევას სხვა იურისდიქციებიც მხარს უჭერენ.¹⁷⁵ მეტიც, ამერიკული მეორე კოდიფიკაცია ორივე მათგანს ჩამოთვლის, როგორც შესაძლო გასათვალისწინებელ ფაქტორს, თუმცა უფრო დიდ მნიშვნელობას გამდიდრების ადგილს ანიჭებს.¹⁷⁶ თუმცა, საბოლოო ჯამში, ევროკომისიის პოზიცია იქნა მხარდაჭერილი.¹⁷⁷ დღეის მდგომარეობით, რომის II რეგულაციის 10 III მუხლიც უსაფუძვლო გამდიდრების სხვა შემთხვევების მიმართ, რომლებიც ვერ თავსდება 10 I-II მუხლების მოქმედების ფარგლებში, ითვალისწინებს გამდიდრების ადგილის სამართლის გამოყენებას.

IV.6.2.3. შესრულების კონდიქცია და გამდიდრების სამართალი

შესრულების კონდიქციის შემთხვევებში გამდიდრების ადგილი, როგორც წესი, ემთხვევა გამდიდრებული პირის საცხოვრებელ ადგილს (ან კომპანიის ოფისის ადგილმდებარეობას), ხოლო ქონების უნებართვო გამოყენების საქმეებში ემთხვევა ქონების ადგილმდებარეობას (*lex rei*

¹⁶⁹ *Richard Plender, Michael Wilderspin, The European Private International Law of Obligations (2009) 708, 24-099.*

¹⁷⁰ *Ernst Rabel, Conflict of Laws (1964) 378.*

¹⁷¹ *Stephen Pitel, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations (2009) 247.*

¹⁷² *Adeline Chong, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 Int. Comp. L. Q. 863, 883 (2008).*

¹⁷³ *Id. 883.*

¹⁷⁴ პარლამენტის მიერ შეთავაზებულ ვარიანტში მესამე პარაგრაფი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „სადაც მოსაყენებელი სამართალი არ შეიძლება დადგინდეს პირველი და მეორე პარაგრაფების საფუძველზე, მოსაყენებელი სამართალი უნდა იყოს იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც არსებითად განხორციელდა უსაფუძ-

ვლო გამდიდრების წარმომშობი მოვლენები, მიუხედავად ქვეყნისა, სადაც მოხდა გამდიდრება.“ *European Parliament legislative resolution on the proposal for a regulation of the European Parliament and of the Council on the law applicable to non-contractual obligations (Rome II) (COM(2003)0427 – C5-0338/2003 – 2003/0168(COD))* [https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-6-2005-0284_EN.pdf].

¹⁷⁵ *Id. 883.* იხ. მაგალითად: ავსტრიის საერთაშორისო კერძო სამართლის ფედერალური კანონის 46-ე სექცია, *EGBGB 38 III* მუხლი, უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 35-ე მუხლი, შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის ფედერალური კანონის 128 II მუხლი და ამერიკული პირველი კოდიფიკაციის 453-ე სექცია.

¹⁷⁶ *Adeline Chong, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 Int. Comp. L. Q. 863, 884 (2008).*

¹⁷⁷ *Peter Huber (ed.), Rome II Regulation (2011) 296.*

sitae).¹⁷⁸ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის სამართლის გამოყენება გამართლებულია იმ შემთხვევებში, როდესაც იგი გამდიდრებას მისი ბრალის გარეშე, ხანდახან თავსმოხვეულადაც იღებს.¹⁷⁹ დასაბუთება არის ის, რომ თავსმოხვეული გამდიდრებისას მიმღები არ უნდა მოექცეს მისთვის უცნობი სამართლის მოქმედების ფარგლებში.

IV.6.2.4. გამდიდრების ადგილის კრიტიკა

რამდენიმე დოგმატური არგუმენტის წამოყენება შეიძლება გამდიდრების ადგილის საწინააღმდეგოდ. უპირველესი კრიტიკა არის ის, რომ მასზე უპირატესად სასურველია გამოყენებულ იქნეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი. ამ თვალსაზრისით, ქართველმა კანონმდებელმა სწორად მიანიჭა უპირატესობა ურთიერთობას – გამდიდრების ადგილის სამართალი გამოიყენება მაშინ, როცა მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს.¹⁸⁰ გარდა ამისა, კრიტიკა უკავშირდება იმასაც, რომ შესაძლებელია გამდიდრების ადგილი იყოს შემთხვევითი, ან რთულად იდენტიფიცირებადი,¹⁸¹ ან იქცეს მოპასუხის ხელთ არსებულ სამანიპულაციო იარაღად.¹⁸² განსაკუთრებით პრობლემატური იქნება საქმეები, სადაც მითვისებული თანხები იცვლის საბოლოო დანიშნულებას, რის

გამოც გაურკვეველია საბოლოო ჯამში სად მოხდა გამდიდრება.¹⁸³ ასეთ დროს, გამოსავალი შეიძლება იყოს პირველი გამდიდრების ადგილის არჩევა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამდიდრება ხდება არა შესრულების მიღებით, არამედ ხარჯების დაზოგვით, მაშინ გამდიდრების ადგილად შეიძლება ჩაითვალოს ის ადგილი, სადაც ეს ხარჯები უნდა განეულიყო.¹⁸⁴ კიდევ ერთი კრიტიკა გამდიდრების ადგილის სამართლის გამოყენების არის ის, რომ შესაძლოა ეს ადგილი იყოს სრულიად შემთხვევითი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია თანხის საბანკო გადარიცხვაზე.¹⁸⁵

IV.6.2.5. არგუმენტები მოქმედების ადგილის საწინააღმდეგოდ

საკუთარი კრიტიკა აქვს, ასევე, მოქმედების ადგილის სამართლის გამოყენებასაც. პირველი, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა წარმოიშობა შედეგის, ანუ გამდიდრების გამო და არა, თავისთავად, ქმედების გამო.¹⁸⁶ მეორე, ვინაიდან აქცენტი კეთდება შედეგზე და არა ქმედებაზე, მოსალოდნელია, რომ ქმედებას არ ექნება მჭიდრო კავშირი უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნასთან.¹⁸⁷ მესამე, უმოქმედობის შემთხვევები ასეთი კოლიზიური ნორმის პირობებში პრობლემატური იქნებოდა.¹⁸⁸

¹⁷⁸ Id. 24.

¹⁷⁹ BT-Drs. 14/343, 9. იხ. ციტირება: MüKoBGB/Junker, 8. Aufl. 2021, EGBGB Art. 38 Rn. 24.

¹⁸⁰ Id. 884.

¹⁸¹ *Stephen Pitel*, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), *The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations* (2009) 248.

¹⁸² *Adeline Chong*, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 *Int. Comp. L. Q.* 863, 885 (2008).

¹⁸³ Id. 885; *Richard Plender, Michael Wilderspin*, *The European Private International Law of Obligations* (2009) 709, 24-107.

¹⁸⁴ Id. 710, 24-109.

¹⁸⁵ *Stephen Pitel*, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), *The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations* (2009) 247.

¹⁸⁶ Id. 884; *Stephen Pitel*, Rome II and Choice of Law for Unjust Enrichment, in John Ahern (ed.), William Binchy (ed.), *The Rome II Regulation on the Law Applicable to Non-Contractual Obligations* (2009) 248.

¹⁸⁷ *Adeline Chong*, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 *Int. Comp. L. Q.* 863, 884 (2008); Ernst Rabel, *Conflict of Laws* (1964) 379.

¹⁸⁸ *Adeline Chong*, Choice of Law for Unjust Enrichment/Restitution and the Rome II Regulation, 57 *Int. Comp. L. Q.* 863, 884 (2008). თუმცა, ავტორი მიუთითებს, რომ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია იმის ვარაუდით, რომ „უმოქმედობა“ განხორციელდა იქ, სადაც მოქმედება უნდა განხორციელებულიყო. თუმცა, მაინც რჩება პრობლემა იმ შემთხვევებში, როდესაც რესტიტუციის ვალდებულება არ ეფუძნება მოქმედებას ან უმოქმედობას, მაგალითად ქმედუუნარობის შემთხვევები. *Richard Plender, Michael Wilderspin*, *The European Private International Law of Obligations* (2009) 708, 24-101.

კაზუსი: დამქირავებლის მიერ განუვლი ხარჯების ანაზღაურება

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023 წლის 12 აპრილს გაგზავნილი მოშლის ნერილით მეიჯარემ (რომელიც ამავდროულად ნივთის მესაკუთრეა) მოიჯარეს განუცხადა მათ შორის არსებული იჯარის ხელშეკრულების ვადის დაუცველად მოშლა, მიზეზს წარმოადგენდა: მოიჯარის მიერ მისთვის მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული სარესტორნო ფართის იჯარის ფარგლებში გადაცემული მოძრავი ნივთების შესაბამისი ფართიდან გატანა (სხვა ლოკაციაზე – მოიჯარის სხვა რესტორანში) და მათი განადგურება/გაყიდვის ეჭვი, ნებისმიერ შემთხვევაში, ის არ ანახებს მათ მეიჯარეს; არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მისი მხრიდან იჯარით გადაცემული ქონების ხელშეკრულებით ნაკისრი დაზღვევის ვალდებულების განუხორციელებლობა; ორი უკანონო მშენებლობის წამოწყება, რის გამოც შესაბამისმა ორგანოებმა მეიჯარე, როგორც მესაკუთრე რამდენჯერმე დააჯარიმეს. იჯარა დადებული იყო ათის წლის ვადით, მოიჯარემ მოშლა განაცხადა 10 წლიანი იჯარის 5 წლის თავზე. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა ერთი ან მეორე მხარის მიერ „თვითნებური“ მოშლის შემთხვევაში მომშლელი მხარის მიერ 25 000 ლარის გადახდას, რაც მეიჯარემ წინასწარ უკვე გადაიხადა იმ დათქმით, რომ ვადის დაუცველად მოშლის სხვა საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ეს თანხა უკან დაუბრუნდებოდა. ფართის გათავისუფლებასთან ერთად მეიჯარე ზიანის სახით

ასევე ითხოვს იმ თანხას, რომელსაც ის მიიღებდა მოიჯარეს ფართი იჯარის ძალაში შესვლასთან ერთად რომ დაეტოვებინა, რადგან ამ შემთხვევაში ის შეძლებდა ზიანის ორმაგ ფასად იჯარით გაცემას, საბაზრო ქირის ზრდიდან გამომდინარე (რის დამტკიცებაც მას შეუძლია).

მოიჯარემ (ასევე: მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე) მოშლის გაცხადებისა და არაერთი მოთხოვნის შემდეგაც არ დატოვა იჯარით აღებული ფართი და იგი აგრძელებდა მისი სარესტორნო დანიშნულებით გამოყენებას. მას მიაჩნდა, რომ მეიჯარეს არ ჰქონდა მოშლის საფუძველი, ამასთან, მან ქირა მიიღო მოშლის შემდეგაც (რაზეც მეიჯარემ განუცხადა, რომ ის ამ თანხას ზიანის ანაზღაურების ანგარიშში თვლიდა), რითიც მან დაადასტურა იჯარის გაგრძელება. შეგებებული სარჩელით ის მოპასუხისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, იმ თანხის ოდენობით, რაც ახალი მსგავსი ტიპის ფართის იჯარაში უნდა გადაიხადოს; ასევე მან იჯარის ფართი, რომელიც სტანდარტული რესტორნის ტიპის სარგებლობისათვის იყო მონყობილი (შეპირებული სარგებლობა), გადააკეთა თავისი ბრენდის რესტორნის ყაიდაზე – რაც ხელშეკრულებით ნებადართული იყო (თუმცა იქვე იყო გამორიცხული მეიჯარის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურება) – და ეს ხარჯები მოიჯარეს უნდა აუნაზღაურდეს სკ-ის 163 II მუხლის მიხედვით.

გარდა ამისა, მეიჯარე მას ზიანის ანაზღაურებას ვერ მოსთხოვს იმ მარტივი მიზეზით, რომ მოიჯარემ მას შესთავაზა ახალი მოიჯარე (მასთან დაახლოებული სანარმო), რაზეც მეიჯარემ უარი განაცხადა.

ვარიანტი: მეიჯარე სარჩელის უზრუნველყოფის ფარგლებში მოიჯარისგან ითხოვს ფართის დაუყოვნებლივ დაცლას.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

ამოსავალი კაზუსის ამოხსნა:

I. მეიჯარის მოთხოვნები:

1. იჯარის საგნის დაბრუნება, სკ-ის 581 II, 564-ე და 172 I მუხლები

იჯარის ურთიერთობის სამართლებრივად დასრულებასთან ერთად, მოიჯარე, სკ-ის 581 II, 564-ე მუხლების მიხედვით, ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს იჯარის საგანი. თუ მეიჯარე ამავდროულად იჯარით გაცემული ნივთის მესაკუთრედ გვევლინება, მისი მოთხოვნა, სკ-ის 564-ე მუხლიდან, თავისუფალ კონკურენციაშია უკან დაბრუნების სანივთო მოთხოვნასთან (სკ-ის 172 I მუხლი).¹ თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მოიჯარემ მეიჯარეს უნდა დაუბრუნოს ნივთზე პირდაპირი მფლობელობა, ისევე როგორც მას გადაეცა ეს პირდაპირი მფლობელობა 581 I 1 მუხლის მიხედვით.² ს მოთხოვნა ვრცელდება ასევე იჯარის ფარგლებში გადაცემულ დამატებით ნივთებზე, როგორც არის, მაგალითად, გასაღები.³

საკითხავია, დასრულდა თუ არა აქ იჯარის ურთიერთობა.

ა) იჯარის ურთიერთობის დასრულება მოშლის გზით, სკ-ის 581 II, 557-ე მუხლები

იჯარის დასრულების საფუძველი აქ შეიძლება იყოს ვადის დაუცველად გაცხადებული მოშლა მეიჯარის მხრიდან სკ-ის 581 II, 557-ე მუხლების საფუძველზე. მოცემული დანაწესის თანახმად, მეიჯარეს შეუძლია რეგულარული მოშლისათვის აუცილებელი ვადის დაუცველად მოშალოს (მათ შორის, ვადიანი) იჯარა, თუ მოიჯარე, მეიჯარის გაფრთხილების მიუხედავად, იჯარის საგანს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საფრთხეს. მეიჯარის მხრიდან გაფრთხილება აქ სახეზე იყო. საკითხავია, განეკუთვნება თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევები (ნივთების ნაწილის გატანა, დაუზღვევლობა, უკანონო მშენებლობა) სკ-ის 557-ე მუხლის გაგებით მნიშვნელოვან საფუძველს.

თუ მოიჯარე არღვევს ნივთის დაზღვევის ვალდებულებას, რომელიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, დაზიანების რისკის რეალიზებისას ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს გამქირავებელი/მეიჯარე, რომელშიც იქნებოდა, დაზღვევის ვალდებულება რომ შეესრულებინა. მიუხედავად იმისა, რომ ნივთის დაუზღვევლობა ნივთისათვის პირდაპირი საფრთხის შექმნას არ წარმოადგენს, მისი შეუსრულებლობა აზიანებს გამქირავებლის/მეიჯარის ექვივალენტურობის ინტერესს და, ცალკეულ შემთხვევებში, იმავე ტიპის საფრთხის გამომწვევ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს და გაამართლოს ვადის დაუცველად მოშლა.³

გარდა ამისა, თუ მოიჯარემ უკანონო მშენებლობით წარმოშვა მეიჯარის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხე, რადგან ამ სიტუაციაში მეიჯარეც, როგორც მესა-

¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 557-ე, ველი 6; სუსგ № ას-1038-2018, 2018 წლის 31 აგვისტო, სუსგ № ას-869-2019, 2019 წლის 26 ივლისი.

² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 557-ე, ველი 2.

³ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 557-ე, ველი 6.

კუთრე, „მდგომარეობიდან გამომდინარე ხელშემშლელად“ (Zustandstörer) ითვლება, ეს ქმედება ცალსახად უნდა ჩაითვალოს ერთგულების ვალდებულების დარღვევად და გაამართლოს იჯარის ვადის დაუცველად მოშლა.⁴

გარდა ამისა, ნივთის უნებართვო გადაკეთება წარმოადგენს ნივთის დაზიანებას (სკ-ის 548 I 2, III მუხლი⁵).⁶

მოიჯარემ მანამდე უნებართვოდ გაიტანა მოსარჩელის კუთვნილი ნივთები სხვა ლოკაციაზე (თავის სხვა რესტორანში). მოიჯარეს აქვს იჯარით აღებულ უძრავ ქონებაში დატოვებულ ნივთებზე პირდაპირი ფლობის უფლება, თუ ის ამ ნივთებს ფლობს „სხვისთვის“, კერძოდ მეიჯარისათვის (არაპირდაპირი მფლობელი) და მისი ფლობის უფლება, თუ იჯარით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, გულისხმობს ამ ნივთების ფლობას იჯარის საგნიდან გაუტანლად. იმ მომენტში, როდესაც მას ეს ნივთები ქირავნობის საგნიდან გააქვს უკან დაბრუნების და ზოგადად, დაბრუნების გაურკვეველი პერსპექტივით, მას უკვე გაცხადებულად აღარ აქვს „სხვისთვის ფლობის“ ნება (რაც უნდა ჰქონდეს პირდაპირ მფლობელს არაპირდაპირი მფლობელის მიმართ და რის გარეშეც ეს უკანასკნელი კარგავს თავის ამ მფლობელობით პოზიციებს). ამით ის აკარგვინებს მეიჯარეს არაპირდაპირ მფლობელობას (მეიჯარე აღარ არის ამ ნივთების არაპირდაპირი მფლობელი), რაც წარმოადგენს როგორც ქირავნობის ხელშეკრულების დარღვევას, ისე, დელიქტს სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით – მფლობელობის, როგორც აბსოლუტური უფლების ხელყოფა.

გარდა აღნიშნულისა, მეიჯარეს აქვს (სკ-ის 540-ე მუხლის გამოყენების სფეროს მიღმა) იჯარის ფართში შესვლისა და მისი დათვალიერების უფლება, თუ არსებობს მისი ინტერესების მნიშვნელოვნად დაზიანების საფრთხე. მას აქვს, ვა-

დის გადაცილების შესაძლებლობის არსებობისას ან მოიჯარის მხრიდან ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევის ეჭვის შემთხვევაში, ფართში შესვლის უფლება, თუ ეს არ ხდება მისთვის მიუღებელ დღის მონაკვეთში, რაც სკ-ის 8 III მუხლის მიხედვით განისაზღვრება.⁷ მოიჯარემ აქ ეს ვალდებულება დაარღვია.

ყველა ეს გარემოება ერთობლიობაში (თუმცა, შესაძლოა, ასევე ცალ-ცალკე აღებულიც კი) გამოუსწორებლად არყვეს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ნდობას და წარმოადგენს ნივთის ან უკვე დამდგარ დაზიანებას, ან ქმნის სამომავლო დაზიანების საფრთხეს და ამგვარად ასრულებს სკ-ის 557-ე მუხლის შემადგენლობას.

ბ) მოშლის „გამოსყიდვა“

მეიჯარესა და მოიჯარეს შორის შეთანხმებული პირობა, რომ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალის ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, თუ გადაიხდის 25 000 ლარს, წარმოადგენს სახელშეკრულებო, უნინაპირობო მოშლის უფლებას. საკამათო შეიძლება იყოს, მოშლა ამ თანხის გადახდის გარეშე ნამდვილი თუ მოშლის ნამდვილობას ადევს ამ თანხის გადახდის გადადების პირობა (სკ-ის 96-ე მუხლი), ანუ, მოშლა მხოლოდ ამ თანხის გადახდის შემდეგ შედის ძალაში. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს კამათი უსაგნოა, გამომდინარე იქიდან, რომ მეიჯარემ თანხა უკვე ისედაც გადაიხდა და მოშლა ნებისმიერ შემთხვევაში ძალაშია.

მეიჯარის განცხადება, რომ მან ჯერ სკ-ის 557-ე მუხლის გაგებით მნიშვნელოვან საფუძველზე მითითებით მოშალა ხელშეკრულება და შემდეგ, სარეზერვოდ, განაცხადა ასევე ხელშეკრულებით შეთანხმებული უნინაპირობო მოშლა, უნდა გავიგოთ, როგორც ამ უკანასკნელი მოშლის იმ პირობით და იმ შემთხვევისათვის გა-

⁴ LG Gießen NJWRR 1994, 1102, LG Hamburg WuM 1992, 190; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 557-ე, ველი 8.

⁵ სკ-ის 581 II მუხლზე მითითება ქვემოთ ძირითადად გამოტოვებულია და იგულისხმება, რომ ქირავნობის სამართლის დანაწესი ასევე იჯარის შემთხვევაშიც მოქმედებს.

⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 557-ე, ველი 13; სუსგ № ას-744-705-2015, 2016 წლის 12 იანვარი; სუსგ № ას-444-419-2014 2015 წლის 2 თებერვალი.

⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 557-ე, ველი 13.

ცხადება, რომ პირველი მოშლა არ იქნებოდა ნამდვილი. ამგვარი სარეზერვო ნების გამოხატვა წარმოადგენს დასაშვებ ე. წ. „სამართლებრივ პირობას“, არ განეკუთვნება პირობადებულ ნების გამოხატვას სკ-ის 90-ე მუხლის მიხედვით და შეუზღუდავად არის დასაშვები, მათ შორის, ცალმხრივ გარიგებებში, ისეთში, როგორცაა მოშლა. მისი შედეგები დგება დაუყოვნებლივ, თუ სამართლებრივი გარემოება, რომელზეც ის უთითებდა არ არსებობდა (ამ შემთხვევაში: პირველი მოშლის არანამდვილობა).

ამგვარად, აქ იჯარის ხელშეკრულება ნებისმიერ შემთხვევაში მოშლილად უნდა ჩაითვალოს, რადგან შესრულებულია მისი მნიშვნელოვანი საფუძვლით ვადის დაუცველად მოშლის წინაპირობები ან, სულ მცირე, ნამდვილია უწინაპირობო სარეზერვო მოშლა.

გ) იჯარის კონკლუდენტური გაგრძელების შეთანხმება – იჯარის ქირის მიღება

მოიჯარე აპელირებს იმ ფაქტზე, რომ მეიჯარის მიერ, შემდგომი პერიოდისათვის გადასახდელი, იჯარის ქირის მიღება წარმოადგენდა ხელშეკრულების კონკლუდენტურ „გაგრძელებას“.

პირველ რიგში, აქ აღსანიშნავია, რომ ამ მომენტისათვის იჯარის ურთიერთობა უკვე დასრულებული იყო და საჭირო იყო არა მისი გაგრძელება, არამედ თავიდან დადება.

მხარეთა ქცევიდან გამომდინარე, ვადიანი იჯარის გაგრძელებისათვის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს სპეციალურ დანაწესს სკ-ის 559 II მუხლის სახით: იჯარა, იმ ვადის გასვლის შემდეგაც შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, თუ მოიჯარე აგრძელებს ქირავნობის საგნის გამოყენებას და მეიჯარე არ გამოთქვამს ამასთან დაკავშირებულ პრეტენზიას (559 II). ამით კანონმდებელი აფუძნებს გაუქარწყლებელ ვარაუდს ხელშეკრულების გაგრძელებისა.

გამქირავებელმა პრეტენზია ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელებასთან დაკავშირებით უნდა გამოთქვას იმ ვადაში, რომლის ათვლაც იწყება ნივით სარგებლობის ფაქტის გაგრძელების შეწყობიდან და მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით (8 III), კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით.⁸ ამგვარად, თუ მარტივი შედავება გამორიცხავს ვადის გასვლით დასრულებული იჯარის გაგრძელებას მხარეთა კონკლუდენტური ქცევის⁹ საფუძველზე, მით უფრო უნდა გამორიცხავდეს ეს შედავება მოშლის შედეგად დასრულებული იჯარის გაგრძელებას, როდესაც მხარის ნება მის დასრულებასთან დაკავშირებით უფრო ცხადად არის მანიფესტირებული.

მოცემულ შემთხვევაში ეს შედავება სახეზეა, რის გამოც იჯარა ნებისმიერ შემთხვევაში დასრულებულად უნდა ჩაითვალოს და მეიჯარეს აქვს ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 581 II, 564-ე და 172 I მუხლების მიხედვით.

2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სკ-ის მე-400, 404-ე 564-ე და 992-ე მუხლები

იჯარის დასრულების შემდეგ მოიჯარემ ნივთი მეიჯარეს უნდა დაუბრუნოს სკ-ის 581 II, 564-ე მუხლების მიხედვით. ამ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მან უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს ამით მიყენებული ზიანი სკ-ის მე-400, 404-ე მუხლების შესაბამისად.¹⁰

მოცემულ შემთხვევაში, მოიჯარე არ აბრუნებს ამ ნივთს (სკ-ის 400 ა)), გაფრთხილების მიუხედავად (სკ-ის 400 ბ), თუმცა გაფრთხილება აქ ზედმეტი იყო, რადგან ის ცალსახად უარს აცხადებს დაბრუნებაზე), ის ამას აკეთებს განზრახ, ყოველგვარი ხელშემშლელი გარე ფაქტორის გარეშე (სკ-ის 401-ე მუხლი). დაკავების უფლება, რომელიც გამორიცხავდა შესრულების

⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 559-ე, ველი 11.

⁹ ნივთიდან სარგებლის მიღების გაგრძელება, რაც აუცილებლობის ძალით გულისხმობს, რომ ის ქირასაც იხდის, რადგან სხვა შემთხვევაში გაგრძელების ნების მანიფესტირება არ ხდება.

¹⁰ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 565-ე, ველი 4.

ვადის გადაცილებას, მოიჯარეს აქ არ შეიძლება ჰქონდეს (სკ-ის 565-ე მუხლი).

სკ-ის 591 მუხლის მე-2 ვარიანტი ძალაში ტოვებს ყველა იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რომელიც მეიჯარეს ნივთის დროულად დაუბრუნებლობით შეიძლება მიადგეს. ნივთზე მფლობელობის დროულად დაუბრუნებლობის გამო მისი შემდგომი იჯარის ჩაშლა ნარმოადგენს მიუღებელ შემოსავალს (სკ-ის 411-ე მუხლი), რომელიც გამოწვეულია მოვალის მიერ ვადის გადაცილებით და ვალდებულების ამ დარღვევას მიენერება. შესაბამისად, ანაზღაურებადია, ზემოთ მოყვანილი დანაწესების მიხედვით. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ვერ გამოორიცხავს ვერც სკ-ის 588-ე მუხლი. პირველ რიგში, ეს ნორმა ეხება მოიჯარის მხრიდან ნივთის უკან დაბრუნებას და არა მეიჯარის მხრიდან მოშლას განსაკუთრებული საფუძვლით. გარდა ამისა, *pacta sunt servanda*-პრინციპიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეს არ შეუძლია უბრალოდ დაიხსნას თავი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან, მხოლოდ ახალი და მეორე მხარისათვის, ზოგადად, „მისაღები“ (რაც ობიექტური კრიტერიუმებით განისაზღვრება და არა მეორე მხარის ნებით, იხ. ქვევით) ახალი კონტრაქტის შეთავაზებით, მეორე მხარის თანხმობის გარეშე. მოცემული მუხლი კი სწორედ ამგვარ – მეიჯარის თანხმობის გარეშე – გათავისუფლებას ითვალისწინებს, რის გამოც ამგვარი გადახვევა *pacta sunt servanda*-პრინციპიდან განსაკუთრებული საფუძვლით უნდა იყოს ლეგიტიმირებული. ეს საფუძველი კი, მოცემულ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ მოიჯარის განსაკუთრებული ინტერესი ქირავნობის ნაადრევად დასრულებასთან დაკავშირებით.¹¹ ყველაფერთან ერთად, ახალი მოიჯარის პიროვნება მეიჯარისათვის მისაღები არ ყოფილა – მოიჯარემ მისი მხრიდან ნდობის მასიური დარღვევის გამო საერთოდ მოშალა, მათ შორის, ეს საწყისი და კეთილსინდისიერების პრინციპის (სკ-ის 8 III მუხლი) და-

კონკრეტების საფუძველზე შექმნილ¹² ნორმაზე თავის სასარგებლოდ ვერ მიუთითებს.

II. მოიჯარის მოთხოვნები

1. მოშლით „მიყენებული“ ზიანის ანაზღაურება

მოიჯარე აპელირებს იმ ფაქტზე, რომ მეიჯარის მხრიდან მოშლის გამო მას მიადგა ზიანი, უწევს რა ახალი ფართის უფრო ძვირ ფასად იჯარის აღება. მისი ამ მოთხოვნისათვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. მოშლა, თუ ის ნამდვილია (ასრულებს ხელშეკრულებას), ანუ, ხდება შესაბამისი საფუძვლით, ამ სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარე, უკვე თავისთავად მართლზომიერია; ვერ ჩაითვლება ვერც ვალდებულების დარღვევად და ვერც დელიქტურ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, რის გარეშეც ზიანი, ზოგადად, არ ანაზღაურდება.

2. დანახარჯების ანაზღაურება

მოიჯარემ იჯარის საგანი, რომელიც მოწყობილი იყო სტანდარტულ სარესტორნო ფართად გამოყენებისათვის – რაც იყო კიდევ ხელშეკრულებით შეპირებული სარგებლობა – გადააკეთა და მოაწყო თავისი სარესტორნო ბრენდის შესაბამისად, რისთვისაც გაიღო ხარჯები და რის ანაზღაურებასაც ითხოვს ის მოსარჩელისაგან.

ზოგადად, ხარჯები, რომელსაც სწევს დამქირავებელი/მოიჯარე გადაცემულ ნივთზე, შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად: 1. ნაკლის გამოსწორების ხარჯები (სკ-ის 537 II მუხლი); 2. მიმდინარე რემონტის ხარჯები (სკ-ის 548-ე მუხლი); 3. ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯები (სკ-ის 545 I მუხლი); 4. „სხვა ხარჯები“ (სკ-ის 545 II მუხლი).

1. ქირავნობის სამართალი ყოველთვის დამქირავებელს არ აკისრებს ნაკლის გამოსწორე-

¹¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 555-ე, ველი 3.

¹² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 555-ე, ველი 3.

ბას, არამედ, სკ-ის 537 II მუხლის მიხედვით, გარკვეული წინაპირობების საფუძველზე, ასევე ანიჭებს დამქირავებელს/მოიჯარეს თვითდახმარების უფლებას. ეს აძლევს მას უფლებას, თავად გამოასწოროს ქირავნობის საგნის ნაკლი, თუ გამქირავებელი გადააცილებს საკუთარი ვალდებულების შესრულების ვადას მე-400 მუხლის მიხედვით.¹³ ქირავნობის/იჯარის საგანი ნაკლოვანია, თუ ახასიათებს ისეთი გარემოებები, რომელიც ხელს უშლის ან ამცირებს მისი გამოყენების შესაძლებლობას ხელშეკრულებით შეპირებულ და გათვალისწინებულ ფარგლებში (ნივთობრივი ნაკლი სკ-ის 535-ე მუხლის გაგებით, იხ. ამ მუხლის კომენტარი) ან მესამე პირის უფლება ნივთზე, რომელიც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამოყენებას სრულებით ან ნაწილობრივ შეუძლებელს ხდის (უფლებრივი ნაკლი სკ-ის 534-ე მუხლის გაგებით).¹⁴ არ ანაზღაურდება ხარჯები, რომელიც დამქირავებელმა/მოიჯარემ გაიღო ქირავნობის საგნის ნასურვები სარგებლობისთვის საჭირო მდგომარეობამდე მისაყვანად, როდესაც ნივთის თვისებები ხელშეკრულებით შეთანხმებული არ ყოფილა და მისი მიღებისას რაიმე პრეტენზია არ გაცხადებულა.¹⁵

მოცემულ შემთხვევაში, მოიჯარეს, მართალია, ჰქონდა გადაცემული სარესტორნო ფართის საკუთარი ბრენდის ყაიდაზე მოწყობის უფლება, თუმცა ეს ხელშეკრულებით შეპირებული (უკვე ამგვარად მოწყობილი ნივთის გადაცემა) არ ყოფილა, რის გამოც, მოწყობის ხარჯების ანაზღაურება ამ დანაწესის მიხედვით უნდა გამოირიცხოს.

2. სკ-ის 548 I მუხლის მიხედვით, კოსმეტიკურ (მიმდინარე) რემონტს განეკუთვნება ყველა ის ღონისძიება, რომელიც ქირავნობის საგ-

ნის ცვეთის გამო პერიოდულად არის განსახორციელებელი. ასეთია, მაგალითად, „შპალერის“ გაკვრა, კედლების, კარების, ჭერისა თუ ფანჯრების შეღებვა.¹⁶ ამოსავალი საკანონმდებლო რეგულაციის საფუძველზე, ამ ტიპის შეკეთების ღონისძიებები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, დამქირავებლის ჩასატარებელია (სკ-ის 548 II მუხლი). აქ ცალსახაა, რომ უკვე მოწყობილი და გარემონტებული სარესტორნო ფართის სხვა ბრენდის ყაიდაზე მოწყობა მიმდინარე რემონტს და მისთვის განეულ ხარჯებს არ წარმოადგენდა.

3. „ნივთზე განეულ აუცილებელ დანახარჯებს“ სკ-ის 545 I მუხლის გაგებით განეკუთვნება ხარჯები, რომელიც მიმართულია იმ გარდაუვალი საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთი დაზიანდება ან შეუძლებელი გახდება/გართულდება მისი აღდგენა.¹⁷ რა თქმა უნდა, აღწერილი ფაბულის თანახმად, აქ მოცემული ტიპის დანახარჯები სახეზე არ არის.

4. სხვა დანახარჯები, რომლებიც არ არის აუცილებელი ზემოთ ხსენებული გაგებით, მაგრამ ზრდის ნივთის ღირებულებას, ანაზღაურდება მხოლოდ სკ-ის 548 II მუხლის მიხედვით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების (სკ-ის 969-ე მუხლები) ნორმებზე, როგორც სამართლებრივ საფუძველზე, მითითებით. „სამართლებრივი საფუძვლის მითითება“ გულისხმობს, რომ სახეზე უნდა იყოს ამ მითითებული ინსტიტუტის წინაპირობები.¹⁸ დავალების გარეშე სხვისი საქმეების „ნამდვილი და მართებული“ შესრულების წინაპირობებს, სხვებთან ერთად, განეკუთვნება ასევე „სხვისი საქმის შესრულების ნება“ (სკ-ის 974 I მუხლი). დამქირავებელმა-

¹³ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 537-ე, ველი 5.

¹⁴ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 536-ე, ველი 2.

¹⁵ სუსგ № ას-444-419-2014, 2015 წლის 2 თებერვალი; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 537-ე, სქ. 13.

¹⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 548-ე, ველი 1.

¹⁷ რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ქირავნობის საგნისათვის მიმატებულის წაღება და დამქირავებლის მიერ განეული დანახარჯების ანაზღაურება, შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2024, 1; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 545-ე, მე-3 და მომდევნო ველები.

¹⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.tsu.ge, 6.5.2023, მუხ. 545-ე, ველი 6.

/მოიჯარემ უნდა განახორციელოს დანახარჯები (სულ მცირე, „ასევე“) მეიჯარის საქმის შესრულების ნებით. ეს ნება გამორიცხულია, თუ დამქირავებელი/მოიჯარე დანახარჯების განევით მხოლოდ საკუთარი სპეციფიკური სარგებლობის ინტერესის განხორციელებას ისახავს მიზნად (ნივთით იმ ფორმით სარგებლობა და სარგებლის მიღება, რომელიც მხოლოდ მის ინტერესებს განეკუთვნება).¹⁹ აქ სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა გვექონდა სახეზე.

გარდა ამისა, სკ-ის 548 II მუხლის მიხედვით, დანახარჯების ანაზღაურება გამორიცხული იყო ასევე სახელმეკრულებო შეთანხმებით, რაც ამ მოთხოვნების გარდა გამორიცხავდა ასევე დანახარჯების კონდიქციით (სკ-ის 987-ე მუხლი)²⁰ ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასაც. სკ-ის 163 II 3 მუხლზე მითითება აქ არ გამოდგება, რადგან ეს დანახარჯი არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ განეული დანახარჯებს ეხება, ხოლო მოიჯარე აქ დანახარჯების განევის მომენტში უფლებამოსილი იყო.

ამგვარად, მოიჯარეს აქ არ აქვს დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ იმ „მონყობილობების“ წაღება (სკ-ის 603 I მუხლის მიხედვით), რომლითაც მან აღჭურვა ნივთი, თუ ესენი რაიმე

ფორმით გამოცალკევებადია იჯარის საგნისაგან, ერთის ან მეორის განადგურების გარეშე.²¹

ვარიანტის ამოხსნა:

საკითხავია, აქვს თუ არა მეიჯარის შუამდგომლობას სარჩელის უზრუნველყოფის ფარგლებში მოიჯარის გამოსახლებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილების პერსპექტივა სსკ-ის 191 I 1, 198 III მუხლების მიხედვით.

განსაკუთრებულ პროცესუალურ კონსტელაციებში, გამონაკლისის სახით, დასაშვებია მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების განკარგულების გაცემა სარჩელის უზრუნველყოფის ფორმით, თუ, ამ ღონისძიებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსარჩელეს გამოუსწორებელი ზიანი მიადგებოდა, რომელსაც, მოგვიანებით, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებაც კი ვერ გამოასწორებდა.²² ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მოპასუხისათვის დაკისრებული ქმედება შეუქცევადია.²³ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, შეუძლებელი უნდა იყოს მოსარჩელის უფლებების განხორციელება და აღსრულება. მაგალითად, თუ არსებობს არაკვანტიფიცირებადი (არაგა-

¹⁹ რუსიაშვილი/ჭავჭავაძე, ქირავნობის საგნისათვის მიმატებულის წაღება და დამქირავებლის მიერ განეული დანახარჯების ანაზღაურება, შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2024, 5.

²⁰ დანახარჯების კონდიქცია სკ-ის 545 II, 969-ე და მომდევნო მუხლების (როგორც სპეციალური ნორმების) გვერდით ისედაც არ გამოიყენება და გამორიცხულია, მაშინაც კი, როდესაც დანახარჯები ამ დანახარჯების მიხედვით არ ანაზღაურდება (რუსიაშვილი/ჭავჭავაძე, ქირავნობის საგნისათვის მიმატებულის წაღება და დამქირავებლის მიერ განეული დანახარჯების ანაზღაურება, შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2024, 13). გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც იჯარა/ქირავნობა ნაადრევად დასრულდა დამქირავებლის/მეიჯარის ინიციატივით და მოიჯარეს ჰქონდა დაცვის ღირსი ინტერესი ამ დანახარჯების შედეგად გაუმჯობესებული ნივთის ქირავნობის ბოლომდე სარგებლობასთან დაკავშირებით (რუსიაშვილი/ჭავჭავაძე, ქირავნობის საგნისათვის მიმატებულის წაღება და დამქირავებლის მიერ განეული დანახარჯების ანაზღაურება, შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2024, მე-12 და შემდგომი), რაც მოცემულ შემთხვევაში ასევე

არ არის სახეზე (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის № ას-60-60-2018 გადაწყვეტილება; იხ. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მელაძე, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, 70-ე და მომდევნო გვერდები). გარდა აღნიშნულისა, ფაბულიდან არ იკითხება, რომ მოიჯარის დანახარჯებმა რეალურად გაზარდა ნივთის ღირებულება.

²¹ იხ. ასევე: რუსიაშვილი/ჭავჭავაძე, ქირავნობის საგნისათვის მიმატებულის წაღება და დამქირავებლის მიერ განეული დანახარჯების ანაზღაურება, შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2024, 7.

²² OLG Düsseldorf NJW-RR 1996, 12411; OLG Düsseldorf, Beschl. v. 10.10.2022, 26 W 5/22, BeckRS 2022, 27899, Rn. 15 f.; KG NJW 2021, 83 Rn. 7; OLG Köln NJW-RR 1995, 546 und 1088; MünchKommZPO/Drescher, 6. Aufl. 2020, § 938 Rn. 9; Saenger/Kemper, ZPO, 9. Aufl. 2021, § 940 Rn. 9; Thomas/Putzo-Seiler, ZPO, 44. Aufl. 2023, § 940 Rn. 6.

²³ OLG Düsseldorf NJW-RR 1996, 124; BeckOK ZPO/Mayer, 48. Ed. 2023, § 938 Rn. 14. Schilken, Die Befriedigungsverfügung, 1976, S. 149 ff.

მოთვლადი) ზიანის დადგომის საფრთხე, რომლის კომპენსაციის მოთხოვნაც უკვე შეუძლებელი იქნება მოპასუხისაგან.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დაქირავებული (რაც გავრცელებადია ასევე იჯარაზეც) კომერციული ფართიდან მოპასუხის გამოსახლება უკვე უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში და მისი მეშვეობით დასაშვებია, თუ, მაგალითად, ნივთის დანიშნულების ცვლილება შეიცავს ნივთ(ებ)ის დაზიანების განსაკუთრებულ რისკებს²⁴ ან გამქირავებელს დაუყოვნებლივ სჭირდება საკუთარი ნივთი²⁵. ნივთის დაზიანების აბსტრაქტული და გამოსწორებადი საფრთხეც კი საკმარისია უზრუნველყოფის ფარგლებში ობიექტის დატოვების განკარგულების გამოსაცემად, მაგალითად:

1. დამქირავებელზე (უკვე განხორციელებული ერთი თავდასხმის შემდეგ) განმეორებითი თავდასხმის მოლოდინი ასაფეთქებელი ნივთიერებების მეშვეობით, რამაც შეიძლება დააზიანოს ასევე მიქირავებული ობიექტი.²⁶

2. დამქირავებელი/მოიჯარე აგრძელებს დაქირავებულ ობიექტზე დისკოთეკის მოწყობას, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიაზე ხანძარუსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ არის.²⁷

3. მსჯელობას, რომ ნივთ(ებ)ის განადგურების ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი აბსტრაქტული საფრთხის დღის წესრიგში დადგომა შეიძლება გახდეს უზრუნველყოფის ფარგლებში დამქირავებლისათვის ობიექტის დატოვების ვალდებულების დაკისრების საფუძველი, იზიარებენ და ადასტურებენ ასევე ჰამბურგისა და ცელეს უმაღლესი სამხარეო სასამართლობი.²⁸

მოსარჩელის ინტერესი, რომელიც ამართლებს, უკვე უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, დამქირავებლის დავალდებულებას დატოვოს ობიექტი, მოცემულ შემთხვევაში უფრო ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არის სა-

ხეზე, რადგან, მოყვანილი გერმანული შემთხვევებისაგან განსხვავებით, აქ რეალიზებულია უკვე კონკრეტული საფრთხე:

მოპასუხე დამქირავებელი, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, აგრძელებს შენობის სუბსტანციის დაზიანებას უნებართვო მშენებლობით/მიშენებით, რითიც არღვევს, როგორც იჯარის ხელშეკრულების პირობებს, ისე საჯაროსამართლებრივ დანაწესებს. შემდგომი გაფრთხილება უპერსპექტივო ჩანს. ამ მშენებლობის/მიშენების შედეგად მიმატებულის მოშორება შეუძლებელია შენობის შემდგომი სავარაუდო დაზიანების გარეშე.

სარჩელის უზრუნველყოფის სახით დაყენებული მოთხოვნა ამ შემთხვევაში არ არის იდენტური სასარჩელო მოთხოვნისა (წინასწარგანსჯის აკრძალვა), კერძოდ, სარჩელით მოსარჩელე სასამართლოსაგან ითხოვს, პირველ რიგში, ქირავნობის ხელშეკრულების არარსებობის დადგენას, ზიანის ანაზღაურებას და მოპასუხის გამოსახლებას, გამომდინარე იქიდან, რომ მას აღარ აქვს ფლობის უფლება. ამის საპირისპიროდ: უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ის, მართალია, ასევე ითხოვს მოპასუხის გამოსახლებას, მაგრამ არა იმ საფუძველით, რომ ქირავნობა უკვე დადგენილად აღარ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ მოპასუხე ანადგურებს მის ნივთებს და ეს ზიანი ვერ იქნება კომპენსირებადი, დავის მოსარჩელის გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაშიც კი. როგორც ცნობილია, დავის საგანს ქმნის ფაქტობრივ გარემოებებს დამატებული სამართლებრივი მოთხოვნა, აქ ამ პრინციპით შეფასებისას, არ არსებობს იდენტურობა სარჩელით მოთხოვნილსა და უზრუნველყოფით მოთხოვნილს შორის. სარჩელით მოსარჩელე ითხოვს „გამოსახლებას, იმის გამო, რომ მოპასუხეს ფლობის უფლება აღარ აქვს“, ხოლო უზრუნველყოფის ღონისძიებით: „გამოსახლებას, იმის გამო, რომ მოპასუხის ფართში დარჩენა გამოიწვევს მდგომარეობას, რომელიც

²⁴ MüKoZPO/Drescher, 6. Aufl. 2020, ZPO § 935 Rn. 83; OLG München NZM 2015, 168; LG Hamburg ZMR 2003, 493; NZM 2005, 854.

²⁵ OLG Celle ZMR 2000, 752; LG Hamburg ZMR 2015, 380; LG Karlsruhe ZMR 2005, 869.

²⁶ LG Wiesbaden, NJW-RR 1993, 1293.

²⁷ OLG München NZM 2015, 167.

²⁸ LG Hamburg Beschl. v. 13.3.2003 – 311 O 62/03, BeckRS 2003, 30976650; OLG Celle NZM 2001, 194.

გამოუსწორებადი და არარევერსირებადი იქნება დავის მოგების შემთხვევაშიც კი”. უკანასკნელი მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს არა ის გარემოება, რომ უკვე დადგენილია ქირავნობის ხელშეკრულების არარსებობა და მოპასუხე ვინდოკაციით უნდა გამოსახლდეს (დავის დასრულების, ანუ, 3-5 წლის შემდეგ), არამედ ის გარემოება, რომ 3-5 წლის შემდეგ დამდგარი ზიანი, გადადებული გამოსახლებითა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, კომპენსირებადი აღარ იქნება; ამიტომაც, ის უნდა გამოსახლდეს დაუყოვნებლივ (სსკ-ის 191-ე მუხლზე დაყრდნობით), თუმცა 3-5 წლის შემდეგ შეიძლება (თეორიულად) ისევე „შესახლდეს” (თუ დადგინდება, რომ მოშლა ნამდვილი არ იყო). ეს არის ორი სხვადასხვა დავის საგანი, ორ სხვადასხვა ფაქტობრივსა და სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, რის გამოც უზრუნველყოფის დაკმაყოფილება საერთოდ ვერ ჩაითვლება წინასწარ განსჯადად.

I. გამოუსწორებადი ზიანის მიყენების საფრთხე

არაკალკულირებადი და, შესაბამისად, არაანაზღაურებადი იქნება ის ზიანი, რომელსაც მოპასუხე აყენებს და მიაყენებს მოსარჩელეს, მისი მხრიდან უკანონო მიშენებებით – რამაც უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო – და რის გამოც ქალაქ ბათუმის მერია მოსარჩელეს აჯარიმებს. ცნობილია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას (არა მხოლოდ სამშენებლო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადმ. სამართალდარღვევების არარსებობას. მოპასუხის "წყალობით" კი მოსარჩელე უკვე განმეორებით სამართალდამრღვევად და უკანონო მენაშენედ ირიცხება. სულ მცირე, ის რეპუტაციული ზიანი, რომელიც უკვე მიაყენა და შემდგომშიც მიაყენებს მოპასუხე მოსარჩელეს, არ ექვემდებარება გამოთვლას და შესაბამისად, პროცესის მოგების შემთხვევაშიც, ვერ იქნება ანაზღაურებადი. ამიტომაც, მოსარჩელის ამ ზიანისაგან დაცვის ერთადერთი გზა, მოპასუხის უკვე ამ მომენტში გამოსახლებაა.

მოიჯარემ დაარღვია შენობასთან ერთად გადაცემული ნივთების დაზღვევის ვალდებულება. გამომდინარე იქიდან, რომ ის ამ ნივთების შემთხვევითი განადგურებისათვის პასუხს არ აგებს და, ობიექტის ტიპიდან (რესტორანი) გამომდინარე, ინტენსიური ცვეთისა (სკ-ის 547-ე მუხლი) და ზოგადი რისკების გამო, მათი განადგურების საფრთხე განსაკურებით მაღალია, დაუზღვევლობა აყენებს მეიჯარეს იმ საფრთხეების წინაშე, რომელთა რეალიზებითაც მიყენებული ზიანი, დავის საბოლოო მოგების შემთხვევაში, კომპენსირებადი ვეღარ იქნება.

ფაბულის თანახმად, სულ მცირე, ნივთების ნაწილი სხვაგან გატანილი (რისი უფლებაც მოიჯარეს არ ჰქონდა!) ან უკვე განადგურებულია. მოპასუხე არ უშვებს მოსარჩელეს იჯარით გადაცემულ ფართში, იქ არსებული დარჩენილი ნივთების დასათვალისწინებლად და მდგომარეობის აღწერის მიზნით, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ მას სურს მაქსიმალურად გაახანგრძლივოს იჯარით მიღებულ ობიექტში ყოფნის ვადა, რათა ამ ნივთების განადგურება მათ ბუნებრივ ცვეთას/შემთხვევითობას მიაწეროს. გამომდინარე იქიდან, რომ დანიშნულებისამებრ გამოყენებით გამოწვეული ცვეთისათვის დამქირავებელი/მოიჯარე პასუხს არ აგებს, მოსარჩელისათვის, პროცესის დამთავრების შემდეგ, შეუძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რა ნივთები განადგურა/გაყიდა გამქირავებელმა განზრახ და რა განადგურდა ბუნებრივი ცვეთის შედეგად – შესაბამისად მოგვიანებით დაყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მის ამ დანაკლისს ვერ დააკომპენსირებს.

ნდობა (რომელიც განსაკურებით მნიშვნელოვანია იჯარის ურთიერთობაში) მეიჯარის მიმართ, ზემოთ ხსენებული არაერთი დარღვევის გამო, გამოუსწორებლად არის შერყეული – მოიჯარე განზრახ უხეშად და განმეორებადად არღვევს იჯარიდან გამომდინარე ძირითად თუ არაძირითად ვალდებულებებს, რომელთა შედეგები წინასწარ განუჭვრეტელია და ვერ იქნება

სრულად კომპენსირებადი²⁹ (იხ. ზემოთ) პროცესის დამთავრების შემდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მეშვეობით. შესაბამისად, მოსარჩელეს არ შეიძლება მოეთხოვოს, პროცესის მიმდინარეობის მთელი დროის განმავლობაში დატოვოს დამქირავებელი/მოიჯარე მის კუთვნილ ობიექტში და მინდობილი იყოს ზიანის ანაზღაურების სათუო მოთხოვნებს.

II. გამოსახლების გადადების დაუშვებლობა საკუთრების დაცვის აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე

საკუთრების დაცვის აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარეობს, რომ მისი ხელყოფის საფრთხის აცილება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და არ მოქმედებს არგუმენტი, რომ ეს თავიდან აცილება უფრო ძვირი „ჯდება“ ვიდრე მოცდა და დამდგარი ზიანის კომპენსირება. მესაკუთრეს აქვს უფლება ხელშეშლა მის საკუთრებაში თუ დაზიანების მცდელობა დაუყოვნებლივ აღკვეთოს. სამოქალაქო სამართალში პირს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ჩაერიოს სხვის საკუთრებაში, თუ მოპოვებული აქვს შესაბამისი ხანივით უფლება (უზუფრუქტი, სერვიტუტი და ა. შ.), მხოლოდ გამოსასყიდით და იმ არგუმენტით, რომ არჩარევა უფრო ძვირი „ჯდება“, ის ამ ჩა-

რევის ლეგიტიმაციას ვერ მოიპოვებს. მაგალითად, მეზობელი ვერ იტყვის, რომ აქვს უფლება გაიაროს მეორე მეზობლის ნაკვეთზე, რადგან შემოვლითი გზა უფრო ძვირი „უჯდება“^{30,31} საკუთრების აბსოლუტური დაცვა არ შეიძლება შერბილდეს და გაუფასურდეს იმით, რომ არსებობდეს „გამოსყიდვის“ საშუალება, ანუ, პირს ჰქონდეს სხვისი საკუთრების ხელყოფის და განადგურების დაუსჯელად გაგრძელების შესაძლებლობა მხოლოდ იმის გამო, რომ მზადაა ბოლოს გადაიხადოს ამის საფასური. ამის საპირისპიროდ, მესაკუთრეს აქვს მის საკუთრებაში ჩარევის დაუყოვნებლივ აღკვეთის უფლება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხარჯებთან არის ეს დაკავშირებული (რასაც ის შემდგომში ხელმყოფს ანაზღაურებინებს).

ეს პრინციპი, რომ სხვის საკუთრებაში ჩარევა „გამოსყიდვას“ არ ექვემდებარება, ძალაშია, რა თქმა უნდა, ასევე სარჩელის უზრუნველყოფის სამართალშიც. თუ არსებობს საფრთხე, რომ მოპასუხე ქირავნობის/იჯარის საგანს დააზიანებს ან გაანადგურებს, მაშინ მისი გამოსახლება დასაშვებია უკვე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით, დამოუკიდებლად იმისა, ანაზღაურებადია თუ არა ზიანი მოგვიანებით.

აქ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას ამდაფრებს ის ფაქტი, რომ

²⁹ მხოლოდ კონკრეტულ ნივთებთან დაკავშირებული უზრუნველყოფითი განკარგულების გამოცემა, ვერ იქნება მოსარჩელის ქონების დაცვის ეფექტური საშუალება, რადგან მოსარჩელემ უკვე საკმარისად ნათქვამი, რომ შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ კონკრეტულად რა ფორმებს მიიღებს მისი დევიაციური ქცევა. მოძრავი ნივთების გარდა, ის ანადგურებს ასევე უძრავი ნივთის სუბსტანციასაც (იხ. ქვემოთ). ამიტომაც, მისთვის უზრუნველყოფის ფარგლებში კონკრეტული ვალდებულების დაკისრება, იმ პირობით, რომ ის დარჩეს მიქირავებულ ფართში, ყოველგვარ აზრს მოკლებულია – შეუძლებელია იმის წინასწარ გათვლა, თუ ზუსტად რა ფორმით დააზიანებს ის მოსარჩელის ნივთებს. უზრუნველყოფითი განკარგულება: „დარჩეს მოსარჩელის კუთვნილ ფართში, მაგრამ დააზღვიოს და არ დააზიანოს მისი ნივთები“ ვერ იქნება მოსარჩელის ქონების დაცვის ეფექტური საშუალება, რადგან მოპასუხეს რჩება მთელი რიგი საშუალებები, ამ ნივთების ბრალეული დაზიანება თუ გაყიდვა (რაშიც ის უკვე შემჩნეუ-

ლია), ბუნებრივ ცვეთას თუ შემთხვევითობას დააბრალოს, რისი ფაქტობრივი გადამონმების საშუალება (3-5 წლამდე პერიოდისათვის) პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომაც, მოსარჩელის საკუთრების დაცვის ერთადერთი საშუალება არის მოპასუხისათვის მის ნივთებზე წვდომის სრულად ხელიდან გამოცლა.

³⁰ BGH, Urteil v. 22.1.2016, V ZR 116/15.

³¹ ე. წ. „ევაკუატორის შემთხვევებში“ (რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებითი სამართალში, თბილისი 2015, 68-ე და მომდევნო გვერდები), როდესაც, მაგალითად, გარაჟის წინ გაჩერებული ერთი ავტომობილი უსპობს მესაკუთრეს მისი ავტომობილის გამოყვანისა და მისით სარგებლობის შესაძლებლობას, მესაკუთრეს შეუძლია დაუყოვნებლივ გამოიძახოს ევაკუატორი და აღკვეთოს ავტომობილით სარგებლობაში ხელშეშლა, მიუხედავად იმისა, რომ ევაკუატორის ხარჯები (რაც ხელშეშლელი პირის ასანაზღაურებელია) გაცილებით აღემატება ხელშეშლის დროის განმავლობაში ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებით (მაგ., ტაქსით) გადაადგილების ხარჯებს.

პროცესის დასრულების მომენტისათვის დამდგარი ზიანი კომპენსირებადიც კი ვერ იქნება, იმიტომ, რომ არაკალკულირებადია (იხ. ზემოთ).

III. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დავის დასრულების პროგნოზის შესაბამისად

როგორც ეს სსკ-ის 191 V მუხლშია დაფიქსირებული, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ეს ვარაუდი, თავისთავად, უნდა დაეყრდნოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებას, რათა არ იყოს სრულებით თვითნებური. იჯარის ერთ-ერთი პირობა, მეიჯარეს უფლებას ანიჭებს, ნებისმიერ დროსა და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მოშალოს ხელშეკრულება, თუ გადაიხდის შესაბამის „ჯარიმას“ – 25 000 ლარს. ეს გამოსასყიდი მოსარჩელემ უკვე გადაიხადა (განათავსა ანგარიშზე მოპასუხისათვის გადასაცემად). შესაბამისად, თეორიული შანსიც კი არ არსებობს იმისა, რომ იჯარის ხელშეკრულება ამ მომენტისათვის დასრულებული არ იყოს, რაც ნიშნავს იმას, რომ, სარჩელის დასაბუთებულობის პროგნოზიდან გამომდინარე, დასა

ბუთებულია ასევე უზრუნველყოფის შუამდგომლობაც.

IV. მოპასუხის ქონებრივი ინტერესის კომპენსირების შესაძლებლობა

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოცემულ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამართლებულია ასევე იმით, რომ ზიანი, რაც მისი გამოყენებით შეიძლება მიაღწეს მოპასუხეს, სრულად კომპენსირებადია, განსხვავებით იმ ზიანისაგან, რომელიც შეიძლება მიაღწეს მოსარჩელეს მისი არგამოყენებით. კერძოდ, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდება და დადგინდება, რომ იჯარა მთელი ამ დროის განმავლობაში ნამდვილი იყო, მოპასუხეს საკმაოდ მარტივად შეუძლია დაითვალოს ყველა ზიანი, რაც მას მიაღწება გამოსახლებით, შესაბამისი ალტერნატიული ფართის პოვნამდე (მისი მონყობის ხარჯების ჩათვლით) და მისი პოვნის შემდეგ ამ ფართის სიძვირის გამო.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მეიჯარე მოსარჩელის ინტერესი ამართლებს მოიჯარისათვის კომერციული ფართის დაუყოვნებლივ (უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში) დატოვების ვალდებულების დაკისრებას.